

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
დიდი პალატის  
გადაწყვეტილებაზე  
გამოყენებულ ნორმათა  
განმარტებანი



საქართველოს უზენაესი სასამართლო

2015

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

#### 2001 წელი

27 სექტემბრის №3კ/458-01 განჩინება საქმის წარმოების  
შეწყვეტის თაობაზე ..... 10

#### 2002 წელი

3 იანვრის №3კ/35-02 განჩინება სიმღერაზე „ყვავილების  
ქვეყანა“ – საავტორო უფლების აღიარების თაობაზე ..... 11

29 აპრილის 3კ/678-01 განჩინება ბინიდან  
გამოსახლების თაობაზე ..... 14

4 მარტის 3კ/441-01 განჩინება ბინიდან გამოსახლების,  
მოვლის, მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯების  
ანაზღაურების თაობაზე ..... 16

9 სექტემბრის №3კ/624-02 გადაწყვეტილება უკანონო  
მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე ..... 19

9 დეკემბრის №3კ/932-02 განჩინება ნასყიდობის  
ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე ..... 26

#### 2003 წელი

21 ივლისის №ას-81-779-03 გადაწყვეტილება ფულადი  
ვალდებულების შესრულების თაობაზე ..... 29

#### 2014 წელი

30 დეკემბრის №ას-1161-1106-2014 განჩინება  
გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის  
ჩაბარების (სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი) თაობაზე ..... 33

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის  
გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე:**

**2002 წელი**

4 მარტის 3გ/ად-169-კ-01 გადაწყვეტილება შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელებისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე .....	36
21 ოქტომბრის 3გ/ად-23გ-02 განჩინება სარჩელის განსჯადობის თაობაზე .....	39
4 ნოემბრის №3გ/ად-204-კ-02 განჩინება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათლად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე .....	41
25 ნოემბრის №3გ/ად-193-კ-02 განჩინება საპენსიო შეღავათის დანიშვნის თაობაზე .....	46
27 დეკემბრის №3გ/ად-203-კ-02 განჩინება ომის ინვალიდისათვის ორი სახეობის პენსიის ერთდროულად მიღების უფლების მინიჭებისა და დანამატის დანიშვნის თაობაზე .....	50

**2003 წელი**

24 მარტის №3გ/ად-329-კ-02 განჩინება უკანონო მოქმედებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე .....	52
14 ივლისის №3გ/ად-484-კ-02 გადაწყვეტილება შპს-ს რეგისტრაციისა და სანოტარო მოქმედებების, პრივატიზაციის შესახებ მიღებული ადმინისტრაციული აქტებისა და გარიგებების ბათილად ცნობის თაობაზე .....	56
13 ოქტომბრის №3გ/ად-448-კ-02 გადაწყვეტილება მრავალბინიან სახლში არასაცხოვრებელი ფართის განკარგვის; რაიონის გამგეობის განკარგულების, თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის ნებართვის ბათილად ცნობის თაობაზე .....	58

6 ნოემბრის №3გ/ად-15-გ-03 განჩინება განსჯადობის თაობაზე .....	61
---	----

**2004 წელი**

27 სექტემბრის №ბს-273-419-კ-04 განჩინება მინისტრის ბრძანების ბათილობის თაობაზე .....	65
28 ოქტომბრის №ბს-362-322-კ-04 განჩინება ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილობის თაობაზე .....	69

**2005 წელი**

6 აპრილის №ბს-1117-954-კ-04 განჩინება საგადასახადო შემოწმების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე .....	71
7 ოქტომბრის №ბს-713-300(კ-05) განჩინება განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე .....	73
31 ოქტომბრის №ბს-1230-805(კ-05) განჩინება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე .....	81
31 ოქტომბრის №ბს-1081-661(კ-05) განჩინება სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე .....	83
28 ნოემბრის №ბს-1043-625(კ-05) განჩინება სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე .....	84
5 დეკემბრის №ბს-817-403 (კ-კს-05) გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობისა და დღგ-ს ჩათვლების აღდგენის თაობაზე .....	87
6 დეკემბრის №ბს-1230-805 (კ-05) განჩინება სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე .....	90

## 2006 წელი

19 აპრილის №ბს-847-403 (კ-კს-05) განჩინება  
გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე ..... 94

## 2007 წელი

21 ივნისის №ბს-21-21(კ-07) გადაწყვეტილება  
მოქმედი პროკურორის ხელფასის ოდენობის  
შესაბამისად პენსიის დანიშვნის, პენსიებს  
შორის სხვაობის ანაზღაურების თაობაზე ..... 95

10 ივლისის №ბს-132-123(კ-07) განჩინება  
სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის  
ანაზღაურების თაობაზე ..... 99

24 სექტემბრის №ბს-335-317(კ-07) განჩინება საგადასახადო  
მოთხოვნის ბათილად ცნობის თაობაზე ..... 103

12 ნოემბრის №ბს-132-123(კ-07) განჩინება  
განჩინების განმარტების თაობაზე ..... 111

## 2009 წელი

28 ივლისის №ბს-1537-1494(კ-08) განჩინება იპოთეკით  
საგნის რეალიზაციისას კრედიტორის დაკმაყოფილების  
ფარგლები და მოვალის დამცავი საშუალებები ..... 113

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე

### 2001 წელი

13 ნოემბრის №ნნ-კოლ განჩინება სისხლის სამართლის  
საქმის შეწყვეტის თაობაზე ..... 123

3 დეკემბრის №71-კოლ განჩინება ამნისტიის თაობაზე ..... 124

### 2002 წელი

25 ნოემბრის №168-აპ განჩინება თავისუფლების აღკვეთის  
ადგილიდან გაქცევის მცდელობის თაობაზე ..... 126

### 2003 წელი

18 დეკემბრის №54-კოლ განჩინება სისხლისსამართლებრივი  
დევნის ხანდაზმულობის ვადის თაობაზე ..... 127

### 2004 წელი

9 თებერვლის №107-კოლ განჩინება რეაბილიტაციის,  
მორალური და მატერიალური ზიანის  
ანაზღაურების თაობაზე ..... 129

3 მაისის №9-აპ განჩინება გადასახადისაგან  
თავის არიდებს თაობაზე ..... 130

### 2005 წელი

14 თებერვლის №224-აპ განჩინება მოგების  
შემოსავლის ან გადასახადით დასაბეგრი სხვა  
ობიექტების დამალვის თაობაზე ..... 131

## 2006 წელი

14 ივნისის №202-კოლ განჩინება ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანის თაობაზე ..... 133

## 2007 წელი

28 ივნისის №1042-აპ განჩინება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის თაობაზე ..... 137

## 2012 წელი

22 ნოემბრის №236აპ-12 განაჩენი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის კვალიფიკაციის თაობაზე ..... 141

## 2014 წელი

25 თებერვლის №227აპ-13 განაჩენი საუარესოდ შებრუნების თაობაზე ..... 146

## წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოვიდგინთ სპეციალურ კრებულს, რომელშიც მოცემულია უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებული სამართლებრივ ნორმათა განმარტებები. ეს არის კრებულის მეორე გამოცემა და იგი მოიცავს 2001-2014 წლებში დიდი პალატის მიერ მიღებულ 43 გადაწყვეტილებას. აქედან, 8 გადაწყვეტილებით განმარტებულია სამოქალაქო სამართლებრივი, 24 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და 11 გადაწყვეტილებით სისხლისსამართლებრივი ნორმები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იხილავს საქმეებს, რომელიც თავისი შინაარსით იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს. დიდი პალატის გადაწყვეტილებაში დასაბუთებული განმარტებით დგინდება განსახილველ დავასთან დაკავშირებული ნორმის ნამდვილი შინაარსი, რაც სწორი და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

კრებულში მოცემულია დიდი პალატის გადაწყვეტილებებით განმარტებულ ნორმათა ძირითადი შინაარსი მოკლე, მკაფიო და ნათელი დებულებების სახით, რათა მკითხველი სწრაფად გაეცნოს ამ ნორმათა არსს და მარტივად შეძლოს პრაქტიკაში მათი გამოყენება.

უპირველეს ყოვლისა, კრებული განკუთვნილია მოსამართლეთათვის, აგრეთვე ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის, თუმცა, იგი ასევე საინტერესო იქნება ნებისმიერი იურისტისა და სტუდენტისათვის, რომლებიც უფრო კარგად და საფუძვლიანად შეძლებენ თავიანთ საქმიანობაში და სასწავლო პროცესში დიდი პალატის გადაწყვეტილებათა გამოყენებას.

ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებათა სრული ტექსტები დაინტერესებულმა პირებმა შესაძლებელია მოიძიონ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში, ასევე, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე – [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge).

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი  
პალატის გადაწყვეტილებაში გამოყენებულ  
ნორმათა განმარტებანი  
სამოქალაქო საპროცესო საპროცესო საკანონმდებლო**

**2001 წელი**

**1. განჩინება №3კ/458-01  
27 სექტემბერი, 2001 წ.**

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ა-მ სარჩელი აღძრა ბ-ს მიმართ და მოითხოვა სატრანსპორტო-საექსპედიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომ მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული დავა რამდენჯერმე განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ; ბოლოს, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელე ა-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქმის საკასაციო წესით განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და მოითხოვეს მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა.

**განმარტების საგანი:  
საქმის წარმოების შეწყვეტა  
მხარეთა მორიგების გამო**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

დიდი პალატა თვლის, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია შეთანხმების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

**2002 წელი**

**2. განჩინება №3კ/35-02  
3 იანვარი, 2002წ.**

**დავის საგანი:** საავტორო უფლების აღიარება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“

ა-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გარდაცვლილი მეუღლის (გ-ს) დარღვეული საავტორო უფლებების დაცვა, საავტორო გასამრჯელოს მიცემა და ბ-ს საავტორო უფლების გაუქმება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“. დაზუსტებული სარჩელით, ასევე, მოითხოვა მეუღლის საავტორო უფლებების აღიარება აღნიშნულ სიმღერაზე და საავტორო უფლებების რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“.

დავა რამდენჯერმე განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ; ბოლოს, საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი. ბ-ს მეუღლემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ უცვლელად დატოვა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

**განმარტების საგანი 1:  
საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ, საქმე აწარმოონ სასამართლოში

პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. მართალია, საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეს, თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს მისი უფლებაა და ამდენად, თუ სხდომას ესწრებოდა მხარის წარმომადგენელი და არა მხარე, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე ისე, როგორც მხარის გამოცხადების შემთხვევაში.

**განმარტების საგანი 2:  
ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა  
ავტორის სიკვდილის შემდეგ**

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 505-ე მუხლის (1964წ.) თანახმად, ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოების ხელშეუხებლობას, რაც განსხვავდება ავტორთა უფლებებისაგან. დიდმა პალატამ ჩათვალა, რომ სასამართლო კოლეგიამ სწორად გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე მუხლი (1964წ.), რომლის თანახმადაც, თუ დარღვეული იქნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ან ავტორის სხვა არაქონებრივი უფლებები, მაშინ ავტორს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ დარღვეული უფლების აღდგენა. კანონში აღნიშნულ „არაქონებრივ უფლებებში“ მოიაზრება ავტორობის უფლება, გამოქვეყნებისა და სახელის უფლება. ამდენად, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელე (ძირითად სარჩელში), როგორც მემკვიდრე, უფლებამოსილია იდავოს მეუღლის საავტორო უფლებებზე.

**განმარტების საგანი 3:  
საავტორო უფლების წარმოშობის საფუძვლები**

„საავტორო უფლებების“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოებზე მისი შექმნის მომენტიდან. ამ უფლების წარმოშობისათვის არ

არის სავალდებულო ნაწარმოების რეგისტრაცია ან სხვა ფორმალბათა დაცვა. ნაწარმოების ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ესა თუ ის ობიექტი, მიუხედავად მისი დანიშნულების, ღირსების, შინაარსის, ჟანრის, მოცულობის, აგრეთვე, მისი გამოხატვის ფორმისა. ამავე დებულების მე-17 მუხლის თანახმად, ნაწარმოების რეგისტრაცია, უკეთუ სასამართლო წესით სხვა რამ არ არის დამტკიცებული, წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს იმ მომენტის დასადგენად, რა მომენტიდანაც უნდა დაიწყოს საავტორო უფლების ვადის დენა, ხოლო იგი ხელს ვერ შეუშლის მესამე პირთ, აღძრან დავა რეგისტრაციაში გატარებული ნაწარმოების საავტორო უფლების შესახებ.

**განმარტების საგანი 4:  
საავტორო უფლების ობიექტი**

საავტორო უფლების ობიექტს წარმოადგენს ნაწარმოები იმის მიუხედავად, გამოქვეყნებულია თუ არა იგი. მთავარია, ნაწარმოები არსებობდეს ისეთი ობიექტური ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღქმული და რეპროდუქცირებულ იქნეს მესამე პირის მიერ. ასეთ ობიექტურ ფორმებად დასახელებულია ხელნაწერი, ესკიზი და სხვა. რაც შეეხება მუსიკალურ ნაწარმოებს, იგი შეიძლება მესამე პირის მიერ აღქმული და რეპროდუქცირებულ იქნეს ნოტების ან შესრულების სახით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ობიექტური ფორმით სადავო მუსიკალური ნაწარმოები კლავირის სახით გამოიხატა ბ-ს მიერ საჯარო შესრულებით.

**განმარტების საგანი 5:  
მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულება**

„საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული ნაწარმოების საჯარო შესრულება



გულისხმობს ისეთ შესრულებას, რომელიც განკუთვნილია მოქალაქეთა, მსმენელთა გარკვეული წრისათვის და არა შესრულებას ოჯახისა და ახლობლების წრეში. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომ ა-ს აწ გარდაცვლილმა მეუღლემ მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა საჯაროდ, ხოლო მოწმეთა ჩვენებები იმის შესახებ, რომ მათთვის მუსიკალური ნაწარმოების – „ყვავილების ქვეყნის“ ავტორად ცნობილია ა-ს მეუღლე, არ გამოდგება ნაწარმოების ობიექტური ფორმით შექმნის ან საჯაროდ შესრულების მტკიცებად.

### **3. განჩინება 3კ/678-01 29 აპრილი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** ბინიდან გამოსახლება

სახლი პირადი საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ა-ზე. აღნიშნულ სახლის ნაწილში მდგმურის უფლებით შესახლდა ბ. მეუღლესთან ერთად. რამდენიმე წლის შემდეგ ბ-მ ფაქტობრივად შეისყიდა აღნიშნული ბინის ნაწილი. მხარეებს შორის ვერ გაფორმდა ბინის ნაწილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან ნაგებობა დაკანონებული არ იყო. ბ-მ სახლს გაუკეთა რეკონსტრუქცია.

შემდგომში ა-ს მემკვიდრემ ანდერძისმიერი მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ბინა და მანვე სარჩელი შეიტანა სასამართლოში ბ-ს ოჯახის ბინიდან გამოსახლებისა და ქირის დაკისრების შესახებ.

ა-მ საქმის რაიონულ და სააპელაციო ინსტანციებში განხილვის შემდეგ, საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება, რაც დაკმაყოფილდა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ.

### **განმარტების საგანი: სამართლის ნორმათა გამოყენება**

სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთი და იგივე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. მოცემულ შემთხვევაში „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ 1998 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში სპეციალური და ახალი კანონია. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, რაც დასტურდება ისეთი გარემოებით, როგორცაა სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა და სხვა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა), მაშინ ასეთი გარიგება წესრიგდება ამ კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამრიგად, აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ საცხოვრებელი სადგომის დათმობის ურთიერთობა მხარეთა შორის ქირავნობის სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობა არ არის.

დიდი პალატა თვლის, რომ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა სასამართლომ უნდა გადაწყვეტოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მფლობელისა და მესაკუთრის უფლება-მოვალეობებს. მოსარგებლეთა მიერ მათ სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებულ საცხოვრებელ სადგომებზე განხორციელებულ მიშენება-დაშენებასთან, ასევე, მათი სახსრებით შესრულებულ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით წამოჭრილი სამოქალაქო დავები სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“



საქართველოს კანონის მე-6, მე-7 მუხლების, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების და მიწის შესახებ კანონმდებლობის დაცვით, სამუშაოების წარმოების დროისათვის მოქმედი იმ ნორმატიული აქტების გათვალისწინებით, რომლებიც არეგულირებდა მშენებლობისა და მიწენება-დაშენების საკითხებს. ამასთან, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებების გათვალისწინებით.

#### **4. განჩინება №3კ/441-01 4 მარტი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** სარჩელში – საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლება; შეგებებულ სარჩელში – მოვლის, მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა მისი გამოსახლება საცხოვრებელი ბინიდან იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ბინა კანონისმიერი შემკვიდრებით მიიღო გ-სგან. იგი საჯარო რეესტრში აღრიცხულია ამ ბინის შესაკუთრედ. მოპასუხე (ბ) ოჯახის წევრებთან ერთად ბინაში შესახლდა მამკვიდრებლის სიცოცხლეში, სადაც ცხოვრობს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ბინას ნებაყოფლობით არ ათავისუფლებს.

ბ-მ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა ა-თვის თანხის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ აწ გარდაცვლილ გ-თან ჰქონდა ზეპირი შეთანხმება, რომ მოუვლიდა მას, სამაგიეროდ იგი თავის სახელზე რიცხულ ბინას მას დაუტოვებდა. იგი უვლიდა, მკურნალობდა გ-ს, მანვე გაიღო დაკრძალვისა და სასაფლაოს ხარჯები.

რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ბ-ს ოჯახის გამოსახლების შესახებ, ხოლო შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ თავისი ახალი გადაწყვეტილებით, ასევე, დააკმაყოფილა ძირითადი

სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ბ-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბ-ს შეგებებული სარჩელის ნაწილში და ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნა იმავე პალატას, დანარჩენ ნაწილში უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### **განმარტების საგანი 1: მტკიცების ტვირთი, მტკიცებულებათა დასაშვებობა**

საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კანონის ეს მოთხოვნა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად კანონით გათვალისწინებულია სპეციალური მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით, რომელიც ადგენს მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას მამკვიდრებლის კრედიტორთა წინაშე და ამ მუხლიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებების დადასტურებისათვის კანონით რაიმე სპეციალური ფორმა ან მტკიცებულება გათვალისწინებული არ არის, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით მოწმეთა ჩვენებების უარყოფა არ გამოძინარეობს კანონიდან.

#### **განმარტების საგანი 2: ვალდებულების შესრულების მიღება**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორი ვალდებულია მოვალის მოთხოვნით, შესრულების მთლიანად

ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გაცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოცემულ შემთხვევაში კასატორი კრედიტორია და იგი კანონისმიერი ვალდებული პირისაგან მოითხოვს ვალდებულების შესრულებას.

### **განმარტების საგანი 3: მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის უკანასკნელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მემკვიდრეებს წარმოეშობათ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული იქნება ფასიანი სამედიცინო დახმარება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ანაზღაურებული სამედიცინო დაწესებულებისთვის, ან ანაზღაურებულია არა ვალდებული პირის მიერ. გარდაცვლილის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მოვლის ხარჯებისა და ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს, არსებობდა თუ არა ასეთი გარიგება მოსარჩელესა და გარდაცვლილს შორის ამ უკანასკნელის სიცოცხლეში, თუ მოსარჩელე დავალების გარეშე ასრულებდა სხვის მოვალეობას. მოცემულ შემთხვევაში შესრულების მოტივს მნიშვნელობა არა აქვს.

დიდ პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორთა რიცხვს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც, სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის შესაბამისად, დავალების გარეშე, საკუთარი ხარჯებით დაკრძალეს მიცვალებული. დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებების შესაბამისად, სამკვიდრო ქონების ღირებულების ფარგლებში მემკვიდრეებს, სამოქალაქო კო-

დექსის 973-ე მუხლის თანახმად, დავალების გარეშე მოქმედი პირის სასარგებლოდ შეიძლება დაეკისროთ მიცვალებულის ბალზამირების, სასახლის (კუბოს), მიცვალებულის მაკიაჟის, ბალდახინის (კატაფალკის), გარდაცვლილის სამგლოვიარო სურათის დამზადების, განბანვის, საფლავისათვის მიწის ღირებულების, საფლავის გათხრის, სასაფლაოს ბეტონის ცოკოლით მოწყობის, საპანაშიდე მუსიკის, სუდარის, დაკრძალვის ცერემონიის მონაწილეთათვის სატრანსპორტო და სხვა სარიტუალო მომსახურების აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რომლის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, დასაფლავების ქელეხის ხარჯები ასევე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო ორმოცისათვის გაწეული ხარჯები – 500 ლარს.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის მტკიცების ტვირთი აკისრია მამკვიდრებლის კრედიტორებს. ამასთან, ფულადი ვალდებულების შესრულება დასაშვებია სამკვიდრო ქონების ღირებულების ფარგლებში.

### **5. გადაწყვეტილება №3კ-624-02 9 სექტემბერი, 2002წ.**

**დავის საგანი:** ნივთის გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან

*ა-მ სარჩელი აღძრა ბანკის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთის – ავტომანქანის დაბრუნება. მან ავტომანქანის გაყიდვის მიზნით აწარმოვა მოლაპარაკება გ-თან, რომელსაც გადასცა ავტომანქანა და მისი სარეგისტრაციო მოწმობა იმ პირობით, რომ ავტომანქანის ღირებულების გადახდის შემდეგ იგი ნივთს გადააფორმებდა გ-ზე. გ-მ ისარგებლა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით, ნოტარიუსთან შეთანხმებით დაამზადა ყალბი გენერალური მინდობილობა იმის შესახებ, რომ მას ჰქონდა ავტომანქანის*

განკარგვის უფლება და იმავე დღეს დაავირავა აღნიშნული ნივთი ბანკში სესხის უზრუნველსაყოფად.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა მოპასუხე ბანკის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა ზომოაღნიშნული გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი.

### **განმარტების საგანი 1:**

#### **უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა**

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება. სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: პირველი, უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მეორე, უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს შეეძლო სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოპასუხისაგან (ბანკისაგან) მოეთხოვა თავისი ავტომანქანის უკან დაბრუნება, თუკი ავტომანქანა მოპასუხის უკანონო მფლობელობაში იმყოფებოდა.

### **განმარტების საგანი 2:**

#### **შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე**

მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად უნდა იყოს დადებული. ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

არსებით პირობებად ჩაითვლება ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულია შეთანხმება. ასეთ პირობებად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების საგანი (ავტომანქანა), ფასი და გადახდის პირობა. როგორც დადგენილია, მოსარჩელე და გ. შეთანხმდნენ ასეთ პირობებზე. რაც შეეხება ავტომანქანის ნასყიდობის ფორმას, კანონი მისთვის რაიმე სპეციალურ ფორმას არ ადგენს. იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს, ამიტომ ამ შემთხვევაში ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება სრულიად შესაძლებელი იყო, ზეპირად დადებულიყო. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების გადასვლას მყიდველზე.

### **განმარტების საგანი 3:**

#### **მოძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველები**

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შეძენს ნივთი. ამრიგად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა.

ბა: ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მყიდველის უფლება, მოითხოვოს ნივთის გადაცემა) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში – ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე).

ფორმალურად, განსახილველ შემთხვევაში ორივე წინაპირობა არსებობს: მოსარჩელესა და გ-ს შორის დაიღო ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელემ მას მფლობელობაში გადასცა ავტომანქანა სარეგისტრაციო მოწმობასთან ერთად. თუმცა, ნივთის მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა არ არის საკმარისი მასზე საკუთრების წარმოშობისათვის. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნივთის გადაცემად ითვლება შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში, ამიტომ, ავტომანქანის გადაცემა, მაგალითად, სასინჯო ტარებისათვის, წარმოადგენს ნივთის გადაცემას არაპირდაპირ მფლობელობაში და იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გადაცემად. ამასთან, ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრებაში ამ ნივთის გადაცემას.

#### **განმარტების საგანი 4: პირობადებული საკუთრება**

სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ გამსხვივებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. შემძენზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე გამსხვივებლის საკუთრებაა.

მოსარჩელემ საკუთრების უფლების გადასვლის პირობად მყიდველს დაუთქვა ავტომანქანის ღირებულების სრულად გადახდა. სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას ნივთის გადაცემა შემძენისათვის (მყიდველისათვის) ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე საკუთრების

უფლების გადაცემას. აქედან გამომდინარე, გ-ს (მყიდველს), მიუხედავად ნივთის ფაქტობრივი ფლობისა, უფლება არ ჰქონდა, გაესხვისებინა ან დაეგირავებინა ავტომანქანა.

#### **განმარტების საგანი 5: მოდრავი ნივთებისა და ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესი**

სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოდრავი ნივთის დაგირავება ხორციელდება მისი შეძენისათვის დადგენილი წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი აქ უთითებს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ წესზე, რომლის თანახმად, მოდრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამრიგად, ავტომანქანა ბანკში უნდა დაგირავდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში ნამდვილ უფლებად ჩაითვლებოდა მესაკუთრის მიერ მესამე პირისათვის (გ-თვის) მიცემული ავტომანქანის დაგირავების უფლება, რაც არ არსებობს. მინდობილობა, მართალია, სანოტარო წესით არის დამოწმებული, მაგრამ ყალბია, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ მესამე პირი (გ.) ავტომანქანის დაგირავებისას მოსარჩელის (მესაკუთრის) ნებას გამოხატავდა, საფუძველს მოკლებულია.

გარდა ამისა, არ არსებობს შეთანხმება მოსარჩელესა (ავტომანქანის მესაკუთრესა) და ბანკს შორის ნივთის დაგირავების შესახებ, ამიტომ არავითარი ვალდებულება ავტომანქანის დაგირავების თაობაზე მოსარჩელეს ბანკის მიმართ არ უკისრია.

სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოდრავი ნივთების დაგირავებისას სავალდებულო სანოტარო წესის გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამგირავებელსა და მოგირავნეს შეუძლიათ, გირავნობა გააფორმონ სანოტარო წესით, მაგრამ ამ შემთხვევაში გირავნობა წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის შედეგად ისე, რომ გირაოს გადაცემა მოგირავნის მფლობელო-

ბაში სავალდებულო არ არის. ასეთი გირავნობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას: სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი. ბანკს უნდა გამოეჩინა წინდახედულება, სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი გულისხმიერება, დაკავშირებოდა ავტომანქანის მესაკუთრეს და გაეგო მისგან, იყო თუ არა იგი თანახმა, მისი ავტომანქანა დაგირავებულიყო ბანკში.

სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად, თუ გირავნობის საგნის (გირაოს) გადაცემა სხვა პირისათვის ხორციელდება საბუთის გადაცემით და დამგირავებელი გირავნობის წარმოშობის მომენტისათვის ფლობს ამ ნივთს (უფლებას) მისი დაგირავების უფლებამოსილების გარეშე, მოგირავნე ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად, თუკი მან არ იცის და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ამის შესახებ. ამ ნორმის გამოყენება განსახილველი შემთხვევის მიმართ არასწორია, ვინაიდან იგი აწესრიგებს ისეთ გირავნობას, რომლის დროსაც დაგირავება ხდება მოგირავნისათვის არა გირავნობის საგნის (გირაოს) ფიზიკური გადაცემით, არამედ ხორციელდება ამ ნივთზე (ან უფლებაზე) არსებული საბუთის გადაცემით. მაგალითად, როცა ხორბლის მესაკუთრე ბანკში აგირავებს სასაქონლო საწყობში შესანახად მიბარებულ ხორბალს, იგი ბანკს გადასცემს არა ხორბალს, არამედ სასაწყობო მოწმობას. სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება სწორედ ამგვარი საბუთის საფუძველზე განხორციელებული დაგირავებისათვის.

ამგვარად, ბანკის კეთილსინდისიერების დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა.

### **განმარტების საგანი 6: კეთილსინდისიერი შემძენი**

სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემულ შემთხვევაში ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი (გ.) არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. არც ამ პრეზუმფციის გამოყენება შეიძლება, ვინაიდან ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე.

ამრიგად, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი შემძენის შესაძლებლობაც ბანკის მხრიდან საფუძველს მოკლებულია.

ბანკს კეთილსინდისიერ შემძენად ვერ გადააქცევს ის გარემოება, რომ ავტომანქანა მესაკუთრის (მოსარჩელის) მფლობელობიდან 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მისი ნებით გავიდა. გ-თვის (მყიდველისთვის) მფლობელობაში ავტომანქანის გადაცემის მიზანი არ იყო მისი შემდგომი დაგირავება. ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე შეიძლება შეფასდეს როგორც მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გასვლა მისი მფლობელობიდან.

ამდენად, გირავნობის უფლება არ წარმოშობილა. შესაბამისად, ბანკს არა აქვს სამართლებრივი საფუძველი ავტომანქანის ფლობისათვის. აქედან გამომდინარე, იგი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად.



**6. განჩინება №3კ-932-02  
9 დეკემბერი, 2002წ.**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

ა-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სხვისი უკანონო მფლობელობიდან საკუთარი ნივთის გამოთხოვა, კერძოდ, ბ-სა და მისი თანმხლები პირების თავისი საკუთარი ბინიდან გამოსახლება. მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ერთი თვის ვადით გამოსყიდვის უფლებით, ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. გამოსყიდვის ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნებია გადაცემული თანხა და არც ბინა გაუთავისუფლებია.

სარჩელით მიმართა სასამართლოს, ასევე, ბ-ს მეუღლემ, როგორც მესამე პირმა და მოითხოვა მის მეუღლესა და ა-ს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ სადავო ბინა წარმოადგენს მეუღლეების საერთო საკუთრებას, მეუღლემ მისი თანხმობის გარეშე გაასხვისა ბინა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. ა-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა – ბ. თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა ბინიდან, ხოლო მესამე პირს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მესამე პირმა (ბ-ს მეუღლემ) საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

**განმარტების საგანი 1:  
მეუღლეთა თანასაკუთრება**

პალატა თვლის, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ, უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

**განმარტების საგანი 2:  
შემძენის ინტერესების დაცვა**

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მიხედვით კი იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ზორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა.

**განმარტების საგანი 3:  
სამოქალაქო კოდექსის ზოგადი და სპეციალური ნორმები**

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით

გათვალისწინებული სანივთო სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგად ნორმად ამავე კოდექსის 1160-ე მუხლით გათვალისწინებულ საოჯახო სამართლის ნორმასთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო 1160-ე მუხლი აწესებს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვის იურიდიულ მექანიზმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზემოთ მოყვანილი ორივე ნორმა სპეციალურია.

**განმარტების საგანი 4:  
რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და  
სისრულის პრეზუმფცია**

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვივების სახელზე იყო რეგისტრირებული რეესტრში, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო იყო. საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მნიშვნელოვანი გარანტიაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისათვის. იგი ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

2003 წელი

**7. გადაწყვეტილება №ას-81-779-03  
21 ივლისი, 2003 წ.**

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

შპს „ა-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ბ-ს“ მიმართ და მოითხოვა ძირითადი დავალიანების და მიუღებელი შემოსავლის გადახდა. მოსარჩელე სარჩელის საფუძველად უთითებდა, რომ მასა (შპს „ა-ს“) და შპს „ბ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ბ-მ“ იკისრა ვალდებულება შპს „ა-თვის“ გადაეხადა თანხა, რაც ამ უკანასკნელის განმარტებით, წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის შედეგად მისაღებ დივიდენდს. ვინაიდან, შპს „ბ-მ“ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ამით შპს „ა-ს“ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

მოსარჩელემ განაცხადა, რომ მას ხელშეკრულების დედანი დაკარგული ჰქონდა და მისი არსებობის დასადასტურებლად წარმოადგინა ბრატისლავის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული, ლეგალიზებული ხელშეკრულება, ასევე, კონტრაქტზე ჩატარებული ლეგალიზებული ექსპერტის დასკვნები.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ სადავო კონტრაქტი მხარეთა შორის არ დადებულა და წარმოდგენილი ხელშეკრულება ყალბია.

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი, რაც გასაჩივრებულ იქნა მოპასუხის მიერ.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.



**განმარტების საგანი 1:  
წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

სასამართლოს შეხედულება, რომლის საფუძველზეც საბუთის ასლს ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა, უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შეხედულებას, უნდა იყოს ასახული გადაწყვეტილებაში.

**განმარტების საგანი 2:  
წერილობითი მტკიცებულებები და მათი  
წარდგენის წესი**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართ-

ლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია, მიუთითოს, თუ საქმის რომელი მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით.

მოცემულ საქმეზე სადავო იყო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კონტრაქტის ნამდვილობა, რის გამოც მოსარჩელემ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობის ფაქტის დადასტურების მიზნით იშუამდგომლა წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე, რაც სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა.

**განმარტების საგანი 3:  
ასლის სანოტარო წესით დამოწმება**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სანოტარო წესით დამოწმებული ასლი თავისთავად არ ნიშნავს, რომ ასლი გადაღებულია ნამდვილი დოკუმენტიდან. ნოტარიუსი მხოლოდ ახდენს იმის შემოწმებას, რომ ასლი მასთან წარდგენილი საბუთის შესაბამისია, იგი არ ადასტურებს მასთან წარდგენილი დოკუმენტის შინაარსის ნამდვილობას და ამ დოკუმენტის ნამდვილობას არ იკვლევს.

**განმარტების საგანი 4:  
მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარე, რომლის მიერაც იყო წარდგენილი ასეთი საბუთი ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, ვალდებულია, დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა. მას შეუძლია, აგრეთვე, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებიდან სადავო საბუთის გამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე. სასამართლო გამორიცხავს ამ საბუთს მტკიცებულებიდან

იმ პირობით, თუ მეორე მხარე არ არის ამის წინააღმდეგი. თუკი მეორე მხარე წინააღმდეგია, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებებს.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ასლები წარმოდგენილი იყო მოსარჩელის მიერ, მას არ მოუთხოვია საბუთის გამორიცხვა მტკიცებულებიდან. სასამართლომ საბუთის ნამდვილობის შემოწმების მიზნით არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობები და წარდგენილ საბუთს შეფასება მისცა საბოლოო გადაწყვეტილებაში.

**განმარტების საგანი 5:  
სასამართლო ხარჯების განაწილება  
მხარეთა შორის**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

მოცემული საქმე რამდენჯერმე იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. მოპასუხეს საკასაციო საჩივრებზე და კერძო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 15 000 ლარის ოდენობით. ვინაიდან გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მოსარჩელე მხარეს.

**განმარტების საგანი 6:  
მოსამართლის აცილების სხვა საფუძველები**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება

განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან მოპასუხის მიერ ვერ იქნა მითითებული ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევდა მოსამართლეთა მიუკერძოებლობაში, სასამართლო კოლეგიამ განჩინებით მართებულად უთხრა უარი მოპასუხეს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში არ კრძალავს მოსამართლის მონაწილეობას საქმის განხილვაში. ამდენად, არ არსებობდა მოსამართლის აცილების საფუძველი.

**2014 წელი**

**7. განჩინება №ას-1161-1106-2014  
30 დეკემბერი, 2014 წ.**

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარება

*ბ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. მ-ის მიმართ სესხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.*

*მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება მეტად კაბალური პირობების შემცველი იყო, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო კი შეუსაბამოდ მაღალი ოდენობისაა.*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ბ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. ა-ის წარმომადგენელმა დ. ა-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო პალატის მსჯელობა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი და არასწორია.

კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილს.

აპელანტმა მხარემ კანონი განმარტა ისე, როგორც ეს კანონში იყო მითითებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი ვადის დენის დაწყებისათვის განსაზღვრავს 30-ე დღეს და, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს, რომ ვადის ათვლა უნდა მოხდეს თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, ამიტომ აპელანტმა მხარემ 14-დღიანი ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი და სააპელაციო საჩივარი წარადგინა იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრული იყო მისი დასაწყისი. აღნიშნული ცხადად ადასტურებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ბ. ა-ის კერძო საჩივარი დააკმაყოფილა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ბ. ა-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

**განმარტების საგანი:  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი.**

დიდი პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 259<sup>1</sup>-ე თანახმად,

გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

სსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს,“ მიგვითითებს პრეზუმფციაზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვლის საპროცესო წესი მოცემულია იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით, კერძოდ, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმფციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი).

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი ადვინისტრაციული საპარტლის საქმეებზე**

**2002 წელი**

**1. გადაწყვეტილება №3გ/ად-169-კ-01  
4 მარტი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს-ს მიმართ შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელება

შპს „ა-შ“ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მასზე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელება, ასევე, საბაჟო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლება და განბაჟების პროცედურების გაჭიანურებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-შ“.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ა-ს“ მოთხოვნა.

**განმარტების საგანი 1:  
უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი**

გენერალური შეთანხმების (GATT-ის) პირველი მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს დებულებას წევრ ქვეყნებს შორის

„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ“ (MFN), რომლის არსია ერთი წევრი ქვეყნის მიერ რომელიმე სხვა ქვეყნის საქონელზე რაიმე შეღავათის დაწესების შემთხვევაში აღნიშნული შეღავათის ყველა წევრი ქვეყნისათვის მინიჭების აუცილებლობა. ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები აზუსტებენ პირველი პუნქტის მოქმედების სფეროს და განსაზღვრავენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან (MFN) ზოგიერთ გამონაკლისს. პირველი მუხლი ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების მიერ საგარეო ვაჭრობაში ერთმანეთისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, სატარიფო შეღავათებს საქონელთა გარკვეულ ჯგუფებზე. ამ წესებიდან გამონაკლისს წარმოადგენს რეგიონალური შეთანხმებები საბაჟო კავშირის, სასაზღვრო ვაჭრობისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლებიც 24-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად განიხილება.

**განმარტების საგანი 2:  
თავისუფალი ვაჭრობის ზონა**

საბაჟო კავშირის, სასაზღვრო ვაჭრობისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეგიონალური შეთანხმებების თანხმად, „თავისუფალ სავაჭრო ზონად (სივრცედ) მიიჩნევა ორი ან მეტი საბაჟო ტერიტორიის ჯგუფი, რომელშიც გადასახადები და ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა წესები არსებითად გაუქმებულია ამ ტერიტორიებს შორის იმ საქონლით ვაჭრობის სრული მოცულობის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ამ ტერიტორიაზე“. საქართველოს მიერ დსთ-ეს ქვეყნებთან დადებული შეთანხმებები „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ სწორედ GATT-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული „თავისუფალი ვაჭრობის ზონის (სივრცის)“ შესატყვისია. „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებების საფუძველზე განხორციელებული ვაჭრობა არ განიხილება როგორც კონკრეტული შეღავათი. იგი გამოყვანილია GATT-ის პირველი



მუხლის მოქმედებიდან, მასზე არ ვრცელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN-ის) პრინციპები და რეგულირდება GATT-ის 24-ე მუხლით.

### **განმარტების საგანი 3: საქონლის ექსპორტირება**

„საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების“ მე-9 პუნქტში „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ „საქონელი ექსპორტირებულ უნდა იქნეს შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს რეზიდენტსა და შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე და მისი შემოტანა უნდა განხორციელდეს შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე“. ამასთან, საქონელმა არ უნდა დატოვოს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეუძლებელია საქონლის ასეთი ტრანსპორტირება ან არსებობს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების შეთანხმება.

### **განმარტების საგანი 4: დიდი პალატის განმარტების უკუქცევითი ძალა**

„საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების თაობაზე დიდი პალატის მოცემულ განმარტებას ვერ მიეცემა უკუქცევითი ძალა და ვერ გავრცელდება საბაჟო დეპარტამენტის მიერ ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეღავათებით განბაჟებულ და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ შპს „ა-ს“ საქონელზე,

რადგან აღნიშნული გარემოება შეზღუდავს მეწარმე სუბიექტების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

### **2. განჩინება №3გ-ად-23გ-02 21 ოქტომბერი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** სარჩელის განსჯადობა

ზ-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანების გაუქმება, საბუღალტრო აღდგენა და მოპასუხისაგან მორალური ზიანის სახით ფულადი ანაზღაურება. რაიონულმა სასამართლომ საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განსჯადად მიიჩნია და განსახილველად გადაუგზავნა საოლქო სასამართლოს.

საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა რაიონულ სასამართლოს, რის გამოც განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად სასარჩელო განცხადება საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით ზ-ს სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა რაიონულ სასამართლოს.

### **განმარტების საგანი: ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენა**

ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება (საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანება სამოქ-

ლაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ) მუშაკის სამუშაოზე მიღების ან გათავისუფლების შესახებ, დიდი პალატის აზრით, არ არის ადმინისტრაციული აქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია საჯარო შრომითი სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული გარიგების დადება-შეწყვეტის შესახებ ბრძანების კანონიერებაზე დავები კომპლექსურად, ერთიანობაში უნდა იქნეს განხილული, როგორც ადმინისტრაციული გარიგების დადება-შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა, ამიტომ ამგვარი ბრძანების კანონიერების განხილვისას არ უნდა იქნეს გამოყენებული არც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“ და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები. სასამართლომ უნდა იმსჯელოს ბრძანების, არა როგორც ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე, არამედ ადმინისტრაციული გარიგების შეწყვეტის კანონიერებაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონთან, „შრომის კანონთა კოდექსსა“ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-V თავთან შესაბამისობაზე.

დიდი პალატის აზრით, განსახილველ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობაა ადმინისტრაციული გარიგება; დავის საგანია არა ადმინისტრაციული აქტის – მინისტრის ბრძანების კანონიერება, არამედ ადმინისტრაციული გარიგების შეწყვეტა და მისგან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოსგან ზიანის ანაზღაურება; მოპასუხეა ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მოსარჩელე ფიზიკური პირი, ამიტომ პროცესუალური სუბიექტების, სადავო სამართალურთიერთობის არსისა და დავის საგნის მიხედვით, ზ-ს სარჩელი არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული, რაიონული სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული დავა.

### **3. განჩინება №3გ/ად-204-კ-02 4 ნოემბერი, 2002წ.**

**დავის საგანი:** კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ღ-ს დაუკანონდა მიწის ნაკვეთი იმ მოტივით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის. რაიონული სასამართლოს განჩინებით სამედიცინო უნივერსიტეტს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ იგი საკასაციო წესით გაასაჩივრა.*

*უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა – ბათილად იქნა ცნობილი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, განახლდა საქმის წარმოება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა რაიონულ სასამართლოს.*

#### **განმარტების საგანი 1: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადების შინაარსი**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან

ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას, რომელთაც სამართლებრივად რაიმე იურიდიული შედეგი – უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა მოჰყვება და უფლების გარეშე მფლობელობის მართოდენ ფაქტის დადგენა დაუშვებელია. ამიტომ კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა.

იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში იმ მიზანზე მითითება, რისთვისაც განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდება, წარმოადგენს სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

### **განმარტების საგანი 2: მიწაზე უფლების დადგენა**

მიწის ფლობა-სარგებლობის საკითხი რეგულირებული იყო როგორც სამოქალაქო სამართლისა (1964 წ.) და მიწის კოდექსებით (1971 წ.), ასევე „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონით, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონით, ასევე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (1997 წ.).

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ი“ პუნქტების საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენით მიწაზე რაიმე უფლების დადგენა პროცესუალურად დაუშვებელია.

### **განმარტების საგანი 3: ნივთზე მფლობელობის უფლება**

თუ პირი ფაქტობრივად ფლობს ნივთს, იგი უკვე ითვლება ამ ნივთის მფლობელად და რაიმე დადასტურება სასამართლო გადაწყვეტილებით საჭირო არ არის, ხოლო თუ პირი ფაქტობრივად არ ფლობს ნივთს, სასამართლო გადაწყვეტილებით ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა აღიარებული და დადასტურებული ვერ იქნება.

დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სასამართლომ მხოლოდ მოწმეთა ზეპირი განმარტებებით ისე დაუდგინა ღ-ს სადავო მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი, რომ არ გამოუკვლევიან, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი იყო თუ არა მიწის კეთილსინდისიერი მფლობელი, მართლზომიერად ფლობდა თუ არა იგი სადავო ქონებას და რა იყო მისი ფლობის სამართლებრივი საფუძველი. ღ-მ ვერ მიუთითა სადავო მიწის ნაკვეთის მართლზომიერად ფლობის რაიმე სამართლებრივ საფუძველზე. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის დროს, მიუხედავად უდავო წარმოებისა, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს და შეამოწმოს განმცხადებლის კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი და ვალდებულია, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მფლობელობის სამართლებრივ საფუძველზე.

### **განმარტების საგანი 4: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელი პირობები**

უდავო წარმოების წესით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არა ნივთზე განმცხადებლის უშუალოდ მფლობელობის ან საკუთრების უფლება, არამედ ფაქტი, რომ განმცხადებელს



გააჩნდა მფლობელობის (საკუთრების) დამადასტურებელი დოკუმენტები ან ეს დოკუმენტები სხვა პირთან ინახებოდა, მაგრამ შემდგომში ისინი დაიკარგა ან სხვადასხვა მიზეზთა გამო განადგურდა და საჭიროა მათი აღდგენა. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

#### **განმარტების საგანი 5: მიწაზე საკუთრება**

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მიწის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწა წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამასთან, აკრძალული იყო ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას. რადგან საქმეში არ მოიპოვება სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის განცხადება ამ მიწაზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ, რომელიც სავალდებულო ძალას მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ შეიძენდა. სახელმწიფოსაც არ უთქვამს უარი მიწის საკუთრებაზე. ამდენად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის ფორმით ღ-თვის მიწის ნაკვეთის ფლობის დადგენა აშკარად კანონსაწინააღმდეგოა.

#### **განმარტების საგანი 6: სარჩელის წარდგენა საერთო საფუძველზე**

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, თბილისის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწის გამოყენება, დაცვა და კონტროლი თბილისის მერიის კომპეტენციაა, ამიტომ, დიდი პალატის აზრით, განცხადების განხილვისას სასამართლო ვალდებული იყო, უდავო წარმოების შესახებ ეცნობებინა თბილისის მერიისათვის, რათა მას კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით შეძლებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია. მითითებული ნორმის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია, უდავო წარმოების შესახებ შეატყობინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ ყველა პირს და პროცესუალურად მისცეს მათ საშუალება, დროულად განაცხადონ თავიანთი დაინტერესებისა და საქმის სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის (რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით მათი უფლება შეილახა) ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სააპელაციო წესით, მოითხოვონ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, ხოლო, თუ გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის

დადგენის შესახებ უკვე კანონიერ ძალაშია შესული, დანტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე და მოითხოვონ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

### **განმარტების საგანი 7:**

#### **მიწის დაკანონებაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის გასაჩივრება**

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში ლ. აღნიშნავდა, რომ არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურები უარს ეუბნებოდნენ მიწის დაკანონებაზე და რადგან მიწის სადავოობის შესახებ სასამართლოსათვის იმთავითვე გახდა ცნობილი, უდავო წარმოების წესით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის გზით, სადავო ნაკვეთზე ლ-ს მფლობელობის ფაქტის დადგენა, დიდი პალატის აზრით, პროცესუალურად დაუმეგებელია და კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. რაიონული სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის ანალოგიურად, ვალდებული იყო განჩინება გამოეტანა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და ლ-თვის განემარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, მას შეეძლო გაესაჩივრებინა არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურების უარი მიწის დაკანონებაზე.

#### **4. განჩინება №3გ-ად-193-კ-02 25 ნოემბერი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** საპენსიო შეღავათის დანიშვნა

გ-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოუთითა,

რომ იგი იღებს პენსიას შრომის წელთა ნამსახურებისათვის. მან ასევე მოითხოვა მისთვის მოხუცებულობისათვის პენსიისა და დანამატის დანიშვნა „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის შესაბამისად. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, იგი უცვლელი დატოვა საოლქო სასამართლომაც, რაც გ-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ არ დააკმაყოფილა გ-ს საკასაციო საჩივარი.

### **განმარტების საგანი 1:**

#### **ერთი სახეობის პენსიის დანიშვნის უფლება**

„სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის სახეობანი, ესენია: პენსია წელთა ნამსახურებისათვის, პენსია ინვალიდობის გამო და მარჩენალის დაკარგვის გამო, ხოლო კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე სახეობის პენსიის მიღების უფლება აქვთ, მათი სურვილის შესაბამისად ენიშნებათ ერთი სახეობის პენსია“. ამდენად, სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს, როგორც წესი, აქვთ მხოლოდ ერთი სახეობის პენსიის დანიშვნის უფლება.

### **განმარტების საგანი 2: საპენსიო დანამატი**

სამხედრო მოსამსახურეებს 20 წლის ნამსახურებისათვის ენიშნებათ წელთა ნამსახურების პენსია ყოველთვიური

თანამდებობის, წოდების, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატისა და სასურსათო ულუფის ღირებულების, ანუ ფულადი სარგოს 50%, ხოლო 20 წელზე მეტი ნამსახურობის გამო ყოველ წელიწადზე პენსიას ემატება აღნიშნული ფულადი სარგოს 3%, მაგრამ არა უმეტეს ფულადი სარგოს 85%-ისა.

75 წელს მიღწეულ სამხედრო მოსამსახურეებს, ანუ ოფიცრებს წელთა ნამსახურობის პენსიაზე ენიშნებათ დანამატი საქართველოში დადგენილი ასაკის გამო მინიმალური პენსიის 2/3-ის ოდენობით, ხოლო კანონით განსაზღვრულია მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის დანამატი, საქართველოში დადგენილი ასაკის გამო მინიმალური პენსიის 100%-ის ოდენობით და საქართველოს სამხედრო ძალებიდან, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ პირებზე, რომლებმაც 20 და მეტი კალენდარული წელი იმსახურეს, ასევე გათვალისწინებულია საპენსიო დანამატი მოხუცებულობის გამო პენსიის 50%-ის ოდენობით.

### **განმარტების საგანი 3: ორი სახეობის პენსიის დანიშვნა**

გამონაკლისის სახით კანონმდებელმა დააწესა ერთდროულად ორი სახეობის – ომის ინვალიდობის მიხედვით და მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურობისათვის) პენსიების მიღების უფლება, ხოლო წელთა ნამსახურობისა და მოხუცებულობის გამო პენსიების ერთდროულად დანიშვნის უფლება კანონით გათვალისწინებული არ არის.

სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებულ ვადიან სამხედრო მოსამსახურეს ან ოფიცრებს, თუ ისინი დაინვალიდდნენ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახინჩრების ან დაავადების გამო, ენიშნებათ ინვალიდობის პენსია – ფულადი სარგოს 50%. კანონით ინვალიდობის პენსიაზე რაიმე დანამატი გათვალისწინებული არ არის, ამიტომ,

კანონმდებელმა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით, დიდ სამამულო ომში მონაწილე ინვალიდებისათვის შეღავათის სახით გაითვალისწინა ომის ინვალიდობის მიხედვით პენსიასთან ერთად მოხუცებულობის გამო პენსიისა და მისი ორმაგი დანამატის ერთდროულად დანიშვნის უფლება.

### **განმარტების საგანი 4: წელთა ნამსახურობისთვის დანიშნულ პენსიაზე უარის თქმის უფლება**

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, რომლებმაც მიღწიეს 70 წელს, ვრცელდება ყველა უფლება და შეღავათი, რომლებიც დადგენილია მსოფლიო ომის III ჯგუფის ინვალიდებისათვის. რადგან კანონმა 70 წელს მიღწეული მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სოციალურად გაუთანაბრა ომის III ჯგუფის ინვალიდს, კანონით საპენსიო უზრუნველყოფის მქონე პირებს, სურვილის შესაბამისად, ენიშნებათ მხოლოდ ერთი სახეობის პენსია, მაგრამ კანონმდებელმა, გამონაკლისის სახით, გაითვალისწინა ერთდროულად ორი სახეობის პენსიის – ომის ინვალიდობის მიხედვით და მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურობისათვის) პენსიების მიღების უფლება, მოხუცებულობის გამო დაწესებული ორი მინიმალური პენსიის დანამატი. დიდმა პალატამ განმარტა, რომ კასატორს უფლება აქვს, უარი თქვას უკვე დანიშნულ წელთა ნამსახურობის პენსიაზე, აირჩიოს ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნა, რის შემდეგაც იგი მოიპოვებს უფლებას საპენსიო შეღავათის, ორი სახეობის პენსიის – ინვალიდობის გამო პენსიასთან ერთად მოხუცებულობის პენსიის დანიშვნაზე, თავისი დანამატით.

**განმარტების საგანი 5:  
საპენსიო შეღავათის მოპოვების პირობები**

„სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საპენსიო შეღავათის მოპოვებისათვის კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ა. უნდა იყოს 1941-45 წლების დიდი სამამულო ომის მონაწილე;
- ბ. უნდა შეუსრულდეს 75 წელი;
- გ. უნდა ჰქონდეს ოფიცრის წოდება და/ან უნდა იყოს ომის ინვალიდი.

**5. განჩინება №3გ-ად-203-კ-02  
27 დეკემბერი, 2002 წ.**

**დავის საგანი:** ომის ინვალიდისათვის ორი სახეობის პენსიის ერთდროულად მიღების უფლების მინიჭება და დანამატის დანიშვნა

*მ-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გორის სოც.უზრუნველყოფის განყოფილების მიმართ და ორი სახეობის პენსიისა და პენსიაზე დანამატის დანიშვნა მოითხოვა. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. მოპასუხემ იგი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. მოპასუხემ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა.*

*უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ არ დააკმაყოფილა სოც.უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის*

*საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახლო საქმეთა პალატის განჩინება.*

**განმარტების საგანი 1:  
სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების  
დათხოვნილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფა**

„სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან: სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები, საქართველოს მოქალაქეობის მქონე, სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ვადიანი სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები, თადარიგიდან სამხედრო ან სპეციალურ შეკრებებზე გაწვეული პირები (გარდა ოფიცრებისა) და მათი ოჯახის წევრები მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

**განმარტების საგანი 2:  
ომის ინვალიდების პენსია**

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (დიდ სამამულო ომში სამხედრო სამსახურის დროს) დაინვალიდა, მას ჰქონდა ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის გამო პენსია ენიშნებათ სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად. პენსიის ოდენობას ზუსტად განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი.

2003 წელი

**6. განჩინება №3გ/ად-329-კ-02  
24 მარტი, 2003 წ.**

**დავის საგანი:** მორალური ზიანის ანაზღაურება

დ-მ და ე-მ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო მოქმედებით მიყენებული მორალური ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება მოითხოვეს. საოლქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი, გააუქმა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით გადასცა საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას.

**განმარტების საგანი 1:**

**უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება**

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია კომპენსაციის უფლება ამ მუხლის დებულებათა დარღვევით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისათვის.

კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზა-

რალეული დაამტკიცებს მისთვის ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, ვინაიდან კომპენსაციის შესახებ საკითხი არ დგება ასეთი ზიანის გარეშე. კომპენსაცია მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე – მორალურ ზიანს.

**განმარტების საგანი 2:  
რეაბილიტირებული პირისთვის მიყენებული  
ზარალის ანაზღაურება**

დიდმა პალატამ ჩათვალა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს კონსტიტუციასთან და ევროპის კონვენციასთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებიც რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, დარღვეული უფლებების აღდგენის წესსა და პროცედურას აღგენენ. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მომკვლევნი ან გამომძიებელი შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს იმ საფუძველზე, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, იგი განსაზღვრავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას. ამის შემდეგ პროკურორი შეწყვეტილ საქმეს გადასცემს განსჯად სასამართლოს, რაც იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილიტირებულს. თუ საქმის შეწყვეტის შემდეგ არ განისაზღვრა ზიანის ოდენობა, რეაბილიტირებულს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს განსჯად სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად. ამასთან, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანიდან 6 თვის განმავლობაში.



### **განმარტების საგანი 3: ხანდაზმულობა**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელებმა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კანონით დადგენილი წესით, 6 თვის განმავლობაში მიმართეს განსჯად თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც მათი სარჩელი დატოვა განუხილველი, რაც უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მიერ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, ამ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესით. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ გაუშვიათ, ვინაიდან სარჩელის განუხილველად დატოვების შემდეგ მიმართეს სასამართლოს. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა გამოწვეული იყო იმით, რომ მათ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ არასწორად განემარტათ გასაჩივრების წესი. შესაბამისად, მოსარჩელების მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გაშვებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

### **განმარტების საგანი 4: სახელმწიფო ან მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეცვლა**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლი არ გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილებას მოქალაქის შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა თუ მისი ღირებულების დაბრუნების თაობაზე. ამ

ნორმაში არაფერია ნათქვამი ზიანის ანაზღაურებაზე, მით უმეტეს, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უფლებამოსილი ორგანო თავისი გადაწყვეტილებით (სახელმწიფო ან მმართველობის ორგანო, გარდა სასამართლოსი) ზემოთ დასახელებულ რომელიმე უფლებას არ აღუდგენს რეაბილიტირებულს და ეს უკანასკნელი ამ ორგანოს წინააღმდეგ სასარჩელო წარმოების წესით მიმართავს სასამართლოს შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა და მისი ღირებულების დაბრუნების თაობაზე გამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა აქტის გამოტანიდან 3 წლის განმავლობაში და მოითხოვს სახელმწიფო ან მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეცვლას ან გაუქმებას.

### **განმარტების საგანი 5: მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი**

დიდმა პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე, 222-ე, 225-ე და 227-ე მუხლებთან ერთად უნდა იქნეს გამოყენებული. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ამასთან, დიდმა პალატამ განმარტა, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა უნდა განხორციელდეს იმ წესითა და პროცედურით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

და საქმე განსჯადობით არსებითად განსახილველად უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას.

## **7. გადაწყვეტილება №3გ/ად-484-კ-02 14 ივლისი, 2003 წ.**

**დავის საგანი:** შპს-ს რეგისტრაციისა და სანოტარო მოქმედებების, პრივატიზაციის შესახებ მიღებული ადმინისტრაციული აქტებისა და გარიგებების ბათილად ცნობა

შპს „შ-ს“ დამფუძნებელმა პარტნიორებმა სარჩელით მიმართეს რაიონულ სასამართლოს შპს „შ-ს“ დირექტორების მიმართ და მოითხოვეს შპს-ს რეგისტრაციის გაუქმება, წილების ხელახალი გადასაწილება და შპს „შ-ს“ ხელახლა რეგისტრაციაში გატარება იმ საფუძველით, რომ პარტნიორთა კარება არ ჩატარებულა და დირექტორმა მათ მოტყუებით მოაწერინა ხელი ცარიელ ფურცელზე, მათთან არ მისულა ნოტარიუსი და მათი ხელმოწერები არ არის დაფიქსირებული სანოტარო რეესტრში. საქმეში მოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ სახელმწიფო ქონების მართვისა და იუსტიციის სამინისტროები.

საქმე რამდენჯერმე განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ; ბოლოს, რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო განცხადება ხანდაზმულობის გამო. მოსარჩელებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს სასამართლოში. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს „შ-ს“ დირექტორმა და სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.

უზუნაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დააკმაყოფილა კასატორების მოთხოვნა და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

## **განმარტების საგანი 1: სასარჩელო ხანდაზმულობა**

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში გამოყენებულ უნდა იქნეს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, ვინაიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალურ კანონს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც რეგულირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები და სწორედ ამ კანონის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოშობილი დავების გადაწყვეტისას.

## **განმარტების საგანი 2: ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად, თუ კანონში პირდაპირ არაა ამის თაობაზე დათქმა, მიიჩნევა ის დღე, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. თუ პირმა თავისი დაუდევრობის ან გულგრილობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.



## **8. გადაწყვეტილება №3გ-ად-448-კ-02 13 ოქტომბერი, 2003 წ.**

**დავის საგანი:** მრავალბინიან სახლში არასაცხოვრებელი ფართის განკარგვა, გამგეობის განკარგულების, თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის ნებართვის ბათილად ცნობა

მოქალაქეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს გამგეობის განკარგულებისა და თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანების, თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის მშენებლობის დაწყების ნებართვის ბათილად ცნობა და აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე მათ მეზობლად მცხოვრები ო-ს მიერ საერთო საკუთრების ფართში წარმოებული მშენებლობის კორპუსის საყრდენ სვეტებს შორის არსებული თავისუფალი სივრცის ამოშენების აღკვეთა. აღნიშნული დავა როგორც რაიონულმა, ისე საოლქო სასამართლომაც დააკმაყოფილა. მოპასუხე ო-მ კი იგი საკასაციო წესით გაასაჩივრა.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ო-ს საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი გამგეობის განკარგულება, მთავარი არქიტექტორის ბრძანება და არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის ნებართვა.

### **განმარტების საგანი 1: ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაშლა**

მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეები შეადგენენ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მესაკუთრეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაშლა. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა შენობა მთლიანად ან ნა-

წილობრივ ინგრევა, ანუ მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაუშლელი პრინციპი. სხვა სახის საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაშლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყოველი ბინის მესაკუთრე ამ ამხანაგობის წევრია. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა მესაკუთრეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული, ბინის მესაკუთრე მრავალბინიან სახლში ავტომატურად ითვლება ამხანაგობის წევრად. აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ ბინის მესაკუთრე იმავდროულად საერთო საკუთრების მოწილეცაა, საერთო საკუთრება კი მოითხოვს ამხანაგობის ორგანოს მეშვეობით მართვას.

### **განმარტების საგანი 2: ბინის მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში**

მრავალბინიან სახლებში მესაკუთრეთა საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წყდება მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებით. ბინის მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მისი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან. ამდენად, მობინადრის წილი არასაცხოვრებელ ფართზე წინასწარაა ცნობილი იდეალური წილის სახით, თითოეულ მობინადრეს ეკუთვნის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების წილი.

### **განმარტების საგანი 3: ბინის მესაკუთრეთა უფლებები**

ბინის მესაკუთრეს შეუძლია ისარგებლოს საერთო საკუთრებით მისი წილის შესაბამისად. შეთანხმებები, რომლებითაც ბინის მესაკუთრენი ერთმანეთთან ურთიერთობებს ამ კოდექსის ნორმებისაგან განსხვავებულად აწესრიგებენ, ძალაშია საჯარო

რეესტრში შეთანხმების რეგისტრაციის შემდეგ.

საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი თანამესაკუთრებთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება უფლებრივად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის.

**განმარტების საგანი 4:  
საერთო საკუთრების ობიექტზე საკუთრების  
უფლების გადაცემა**

მრავალბინიან სახლში საერთო საკუთრების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის დამოუკიდებელი, ბინის საკუთრება არ შეიძლება გასხვისდეს საერთო საკუთრების ობიექტზე საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე და პირიქით, საერთო საკუთრებაში მყოფი ობიექტი ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში მყოფი ფართი მიზნობრივად არის დაკავშირებული ბინის საკუთრებასთან და საცხოვრებელი ფართის სამეურნეო ერთიანობას ემსახურება. ბინათმფლობელთა შეთანხმებით, საერთო საკუთრების ობიექტი შეიძლება გადაიცეს სარგებლობაში, თუ ის არ იწვევს ბინათმფლობელთა უფლებების და ინტერესების დარღვევას.

**განმარტების საგანი 5:  
ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, როგორც საბინაო-  
სამშენებლო კოოპერატივის უფლებამონაცვლე**

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის თანახმად, მათ უფლებამონაცვლედ მიჩნეული ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა არ საჭიროებს რაიმე პროცედურის დაცვას, დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენას და რეგისტრაციას. ამხანაგობა არსე-

ბობს ბინის მესაკუთრეთა ფაქტობრივი ერთობის ძალით, ბინის მესაკუთრეებს აერთიანებს ის, რომ ისინი ერთ ჭერქვეშ, ერთ შენობაში მეზობლად იმყოფებიან და ბუნებრივად არიან ვალდებული პატივი სცენ ერთმანეთის ინტერესებს.

**9. განჩინება №3გ-ად-15-გ-03  
6 ნოემბერი, 2003 წ.**

**დავის საგანი:** განსჯადობა

*რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფის წევრების სარჩელის გამო საექციო საზოგადოების რეგისტრაციის, პრიატიზების, ასევე, მათ მიერ გამოშვებული სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.*

*უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატებს შორის დავა განსჯადობის შესახებ და მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სააპელაციო საჩივარი განსახილველად განსჯადობით დაუქვემდებარა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.*

**განმარტების საგანი 1:  
ადმინისტრაციული დავების განსჯადობა**

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც ადმინისტრაციული დავების განსჯადობას განსაზღვრავს, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგ პირობათა არსებობა:

ა) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამოძღვინდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები;

ბ) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობის პრინციპი), თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ დავაში მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულ საქმედ მიჩნევის აბსოლუტურ კრიტერიუმს, არამედ უმთავრესია თავად სადავო სამართალურთიერთობის არსი და დავის საგანი.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებულ დავებში მოპასუხედ ჩართული უნდა იყოს საწარმოს დაფუძნებელი, კონკრეტულ შემთხვევაში – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და სამართალსუბიექტობის პრინციპის მიხედვით, ამგვარი დავა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.

### **განმარტების საგანი 2: სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები**

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, პრივატიზება არის ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მისი მართვის უფლებას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად კი საწარმოს რეგისტრაციისას სავალდებულოა საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე მონაცემისა და შესრულებული შენატანის შესახებ

საბუთის სასამართლოში წარდგენა, პარტნიორთა შენატანის ოდენობის მითითებით. დაფუძნებლის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანი წარმოადგენს საწარმოს საკუთრებას, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანი ხდება საწარმოს საკუთრება და სახელმწიფო კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, ანუ ხდება ქონების განსახელმწიფოებრიობა – სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

### **განმარტების საგანი 3: საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის უფლება**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ განცხადება რეგისტრაციაზე და თანდართული დოკუმენტები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ სარჩელის საფუძველზე.

### **განმარტების საგანი 4: დავა ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ. დიდი პალატის განმარტებით, ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დავა

სამართლებრივად არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმეს. აღნიშნულ დავაში მოპასუხე არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო როგორც პარტნიორი, არამედ მოპასუხეა თვით საწარმო. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს, რომელიც, ცხადია, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

**განმარტების საგანი 5:  
სახელმწიფოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ  
გარიგებაში**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების თაობაზე ბრძანებები სამართლებრივად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ აქტებს კი არ წარმოადგენს, არამედ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული, კონტრაქტული ადმინისტრაციული ორგანოს ნების წერილობითი ფორმით გამოხატვას ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან დაკავშირებით. დიდი პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ გარიგებებში ადმინისტრირებას ვერ განახორციელებს და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ვერ გამოსცემს კონტრაქტისათვის შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციულ აქტს, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე და სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გარიგებებში (კერძო სამართლის იურიდიული პირები) სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები ისე მოქმედებენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სამართლებრივი (სახელშეკრულებო) ურთიერთობები კი დაფუძნებულია არა ადმინისტრირების (ქვემდებარების) პრინციპზე, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიან ნებაყოფლობით პარტნიორობაზე.

2004 წელი

**10. განჩინება №ბს-273-419-კ-04  
27 სექტემბერი, 2004 წ.**

**დავის საგანი:** საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობა

სს „ს-მ“ სარჩელით მიმართა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა, რომლის შედეგადაც ამოღებულ იქნა სს-ს ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფასდარღვევების შედეგად მიღებული ზედმეტი შემოსავლის თანხა. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ სარჩელი არ დააკმაყოფილა; მოსარჩელემ იგი საკასაციო წესით გაასაჩივრა.

უზუნაესი სასამართლოს დიდი პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანებების იმ ნაწილის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, რომლითაც სს „ს-ს“ ანგარიშიდან თანხის ამოღება დადგინდა და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

**განმარტების საგანი 1:  
ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის  
სექტორში ფასების დადგენა და მათი რეგულირების  
წესი**

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ფასების (ტარიფების) დადგენას და მათი რეგულირების წესს განსაზღვრავს და ახორციელებს საქართველოს ენერგეტი-

კის მარეგულირებელი ეროვნული კომისია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. კომისიის დადგენილებით მტკიცდება ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის რეგულირების წესები, ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების საბითუმო, საცალო ტარიფები, მათი დადგენის საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესები.

მოქმედი კანონმდებლობით ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების ტარიფები სემეკის დადგენილებით უნდა განისაზღვროს.

### **განმარტების საგანი 2: საჯარიმო სანქციები**

„ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების თანახმად, მონოპოლიურად მაღალი ფასების გამოყენებით მიღებული მთელი დამატებითი შემოსავალი და იმავე ოდენობის საჯარიმო თანხა ან მონოპოლიურად დაბალი ან დემპინგური ფასების დაწესების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი (გადაუხდელი სახელმწიფო გადასახადების თანხა) და იმავე ოდენობის საჯარიმო თანხა ფასების სახელმწიფო ინსპექციის წარდგინების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამოიღება სამინისტროს გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **განმარტების საგანი 3: ტარიფის შეცვლის დაუშვებლობა**

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ინდივიდუალური აქტებითა და წერილებით ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, ნორმატიული აქტებით დადგენილი ტარიფის შეცვლას ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით.

დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა) და ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება (გამოცემა). სახელმწიფოს რეგულირებადი ფიქსირებული ფასი სემეკის დადგენილებით და არა გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს.

### **განმარტების საგანი 4: მომხმარებელთა თანასწორობა**

ტარიფების დადგენილი წესის დარღვევით რეგულირება არღვევს ტარიფების სახელმწიფო რეგულირების ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა მომხმარებელთა თანასწორობა, ყველა მომხმარებლისათვის დადგენილი წესის თანახმად დამტკიცებული ტარიფების მიხედვით ელექტროენერჯის მიწოდება, მომხმარებლებისა და საზოგადოებისათვის სემეკის მასალების ხელმისაწვდომობა, ტარიფის დადგენის პროცედურის გამჭვირვალობა, საჯარო განაცხადის გაკეთება, დაინტერესებული მხარეების მიერ შენიშვნების წარდგენა, ტარიფის დამტკიცების შემთხვევაში მისი ძალაში შესვლის ვადის დაცვა, ენერჯის გადაცემაზე კომერციული ორგანიზაციების დანახარჯების ეკონომიკური დასაბუთებულობის უზრუნველყოფა.

### **განმარტების საგანი 5: ფასწარმოქმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში**

ფასწარმოქმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპების საფუძველზე. საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების ფორმირებისას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი ენიჭება ექსპორტის სტიმულირებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას და ქვეყნის შიდა ბაზრის სტაბილიზაციას. უკანონო შემოსავლად უარეს შემთხვევაში



უნდა მიჩნეულიყო სხვაობა დადგენილებით და გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ტარიფებს შორის და არა ელექტროენერჯის იმპორტიდან მიღებული მთელი შემოსავალი. სემეკის 31.08.2000წ. №8 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, იმპორტირებული ელექტროენერჯის ტარიფი უნდა განსაზღვრულიყო სემეკის გადაწყვეტილებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

### **განმარტების საგანი 6: არსებითი შესწორების შეტანა**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე, გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები, რაც არ ქმნის აქტის გაუქმების, ახალი აქტის გამოცემის საფუძველს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს ზუსტად, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული არსებით ცვლილებად. აღნიშნულის დადგენა კანონმდებელმა პრაქტიკას მიანდო.

### **განმარტების საგანი 7: გასაჩივრების უფლების ხანდაზმულობა**

ადმინისტრაციულ აქტში იმ ორგანოს მიუთითებლობა, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართის და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადის აღუნიშნავობა არის საჩივრის (სარჩელის) წარდგენის ვადის გაგრძელების, გასაჩივრების უფლების და წესის დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის მომენტიდან ხანდაზმულობის ათვლის და არა აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

### **11. განჩინება №ბს-362-322-კ-04 28 ოქტომბერი, 2004 წ.**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობა

სს „ე-შ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომლის შედეგადაც მას ჯარიმის სახით დაეკისრა ფულადი გადასახადი. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რომელიც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის ახალი გადაწყვეტილებით სს „ე-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სს „ე-შ“ საკასაციო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და აღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ არ დააკმაყოფილა სს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

### **განმარტების საგანი 1: დღგ-ს ჩათვლა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს არა კონკრეტულად რომელიმე სახის საქონელი, არამედ დასაბეგრი ოპერაცია, ხოლო დასაბეგრი ოპერაცია პირის მიერ საქონლის მიწოდებაა. სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, მართალია, არ იყო მითითებული, მაგრამ იგულისხმებოდა შემდგომში აღნიშნულ მუხლში შეტანილი დამატება, რომ დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებდა იმ საქონლის (სამუშაო,

მომსახურება) საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილ დღგ-ზე, რომლის მიწოდებაც გათავისუფლებული იყო დღგ-გან, მიუხედავად იმისა, გათვალისწინებული იყო თუ არა მისი შემდგომი მიწოდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას მიაჩნია, რომ, ვინაიდან საქონლის მიწოდება, როგორც დასაბეგრი ოპერაცია, გათავისუფლებულია დღგ-თი დაბეგვისგან, ხოლო კასატორმა გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის საფუძვლის, დასაბეგრი საგნის, საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე გადახდილი დღგ-ს ჩათვლა, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოახდინა არასწორად. საგადასახადო ორგანომ სწორად გაუუქმა კასატორს უკანონოდ განხორციელებული ჩათვლა და საგადასახადო შემოწმების აქტით სწორად დაარიცხა შესაბამისი თანხა.

### **განმარტების საგანი 2: დღგ-გან გათავისუფლება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღგ-გან გათავისუფლებული იყო უძრავი ქონების მიწოდება, გარდა ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობისა. უძრავი ქონების მიწოდებასთან ერთად, იგულისხმებოდა უძრავ ქონებაზე გარკვეული სამუშაოების შესრულებაც, ანუ დღგ-გან გათავისუფლებული საქონლის წარმოებაც, რადგან ისეთი ოპერაცია, როგორც იყო შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ზრდიდა აღნიშნული ნაგებობის თვითღირებულებას და, შესაბამისად, ფართო გაგებით წარმოადგენდა უძრავი ქონების წარმოებას.

2005 წელი

### **12. განჩინება №ბს-1117-954-კ-04 6 აპრილი, 2005წ.**

**დავის საგანი:** შემოწმების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

შპს „კ-შ“ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციისა და რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ და ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო შემოწმების აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „კ-ს“ სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო შემოწმების აქტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა აპელანტის საჩივარი.

შპს „კ-შ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.

### **განმარტების საგანი: საგადასახადო ვალდებულება**

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ სა-



ქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი არ ვრცელდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ, დარიცხულ და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელობა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე. საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოში კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი გადასახადის თანხის აღრიცხვას. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ დარიცხვა და აღრიცხვა ურთიერთშემავსებელი ტერმინებია და ერთ ტერმინად უნდა იქნეს განხილული. ამასთან, ეს ტერმინები უკავშირდება დეკლარირებას ანუ საგადასახადო ვალდებულების არსებობას. შეიძლება საწარმოსათვის საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშვას მას შემდეგ, რაც იგი შეამოწმა საგადასახადო ან სხვა ფისკალურმა ორგანოებმა და შესაბამისად, მოხდა მისი ფაქტობრივად დეკლარირება, რაც დაირიცხა (აღირიცხა) საგადასახადო ვალდებულებად. თუ საგადასახადო ვალდებულება წარმოშობილია 2004 წლის 1 იანვრისათვის და ეს ცნობილია საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, ეს ვალდებულება რჩება ძალაში და მასზე ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ კანონი ვერ გავრცელდება. შესაბამისად, არ შეწყდება ადმინისტრაციული საქმე, თუ იგი იხილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოში. ის საგადასახადო ვალდებულება კი, რაც ფაქტობრივად არ არსებობს, არ ჩანს და არც არის დეკლარირებული (გამოვლინებული) საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, აღარ წარმოიშობა, შესაბამისად, ვერც გამოვლინდება. აღნიშნული ამნისტიის მიზანი სწორედ ამ სახის არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციაა.

### 13. განჩინება №ბს-713-300(კ-05) 7 ოქტომბერი, 2005წ.

**დავის საგანი:** განკარგულების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

*ნ-მ სარჩელი აღძრა რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა გამგეობის განკარგულების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.*

*მოცემული საქმე სასამართლო ინსტანციათა განხილვის შემდეგ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მსჯელობის საგანი გახდა, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნ-ს საკასაციო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.*

#### განმარტების საგანი 1: ადმინისტრაციული აქტის ცნება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული სამართლებრივი ფორმის სწორ კვალიფიკაციას. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება (იგულისხმება შემდეგი ელემენტი: „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“) მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ცნების ეს ელემენტი უცილობლად გულისხმობს, რომ საჯარო დაწესებულების ნების შესაბამისად, ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას. დიდმა პალატამ განმარტა, რომ მოწესრიგების, რომლის მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ სამართლებრივი შედეგი უშუალოდ საჯარო დაწესებულების ნების შედეგად დგება, ცალმხრივობა და მისი შესრულების სავალდებულობა ადმინისტრაციული აქტის ცნების ის ელემენტებია, რომლებიც მას განასხვავებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისაგან.

დიდი პალატის მითითებით, საერთო სასამართლოებმა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერების გარკვევისას (შესაბამისი კვალიფიკაციის მოხდენის მიზნით) ყურადღება უნდა გაამახვილონ არა სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შინაარსზე, არამედ

ამ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ფორმაზე, ვინაიდან, თუ ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოხატულ ნებას მისცემს ადმინისტრაციული აქტის სახეს, იგი, მიუხედავად მისი შინაარსისა, უნდა შეფასდეს და განხილულ იქნეს როგორც ადმინისტრაციული აქტი.

### **განმარტების საგანი 2: საჯარო დაწესებულების მიერ ნების ცალმხრივი გამოვლენა**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით, ანუ სახეზეა საჯარო დაწესებულების მიერ ნების ცალმხრივი გამოვლენა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. პირი თავისი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ამის სათანადო ნებას გამოავლენს საჯარო დაწესებულება, ამ პირის განცხადების დაკმაყოფილების სახით, რაც დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან. ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენის ფორმის დასადგენად საკმარისია სამართლებრივი აქტის (ბრძანების, განკარგულების და ა.შ) სახით გამოცემის ფაქტი მაშინაც კი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ირჩევს საქმიანობის არასწორ ფორმას.

### **განმარტების საგანი 3: ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება**

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის

მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან. მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება არის უფლებამოსილი, ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ადმინისტრაციულ ორგანოს განუსაზღვროს საქმიანობის კონკრეტული სამართლებრივი ფორმა იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ არის ასეთი საკანონმდებლო დაზუსტება. ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გააჩნია საქმიანობის სამართლებრივი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული აქტის სახით და ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისაგან განსხვავებით, მისი გამოყენების შემთხვევაში, არ ესაჭიროება საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის უფლებამოსილებით აღჭურვა.

**განმარტების საგანი 4:  
თანამდებობაზე დანიშნვის ბრძანება**

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბრძანების, განკარგულების სახით აქტის გამოცემა მიუთითებს კონკრეტული შემთხვევის ცალმხრივი მოწესრიგების ნებაზე, მეტიც, მას აქვს ამის სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, იმ ვითარებაში, როცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით კანონმდებელმა საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგე-

ბისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განუსაზღვრა საქმიანობის ფორმები როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე – ხელშეკრულების სახით. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ დანიშვნის ბრძანების გაცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. თავისთავად, პირის ნების გამოვლენა სამსახურში მიღების თაობაზე არ განაპირობებს ადმინისტრაციული ორგანოს ნების პოზიტიურ გამოვლენას და შესაბამის სამართლებრივ შედეგს – ამ პირის სამსახურში მიღებას.

**განმარტების საგანი 5:  
ადგილობრივი თვითმმართველობისა და  
მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის  
პირების სამართლებრივი აქტები**

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების – საკრებულოსა და გამგეობის დადგენილებების, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის (მერის) განკარგულებების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

**განმარტების საგანი 6:  
გარიგების ცნება**

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება

არის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ; როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, ის სამოქალაქო სამართალში იწოდება ცალმხრივ გარიგებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია, ამასთან, სამოქალაქო სამართალი იმ თვალსაზრისს ემყარება, რომ პირებმა ურთიერთობა ერთმანეთს შორის თავად უნდა მოაწესრიგონ. ამ პრინციპს კერძო ავტონომია ეწოდება, რომლის განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო და გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება. გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ამასთან, ნების ყოველგვარი გამოვლენა არ წარმოადგენს გარიგებას.

### **განმარტების საგანი 7:**

#### **შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა**

შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენა გამომდინარეობს არა გარიგების დადების ან გარიგების შეწყვეტის სურვილიდან, არამედ კანონისმიერი უფლებამოსილებიდან, განხორციელოს საჯაროსამსახურებრივი ურთიერთობა. ამ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას იგი ნების გამოვლენას ახორციელებს არა ხელშეკრულების ფორმით, არამედ ადმინისტრაციული აქტის მიღებით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მის სამართლებრივ ბუნებას, არამედ მისი საქმიანობის ადმინისტრაციულ ფორმას და სამართლის იმ ნორმის ხასიათს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედების უფლებამოსილებით აღჭურვავენ და არა

იმას, სამართლის რომელ სფეროში იჩენს თავს სამართლებრივი შედეგი, ანუ გადაამწყვეტია, საიდან მოდის ღონისძიება და არა ის, თუ საითკენაა იგი მიმართული.

### **განმარტების საგანი 8:**

#### **ცალმხრივი გარიგების დაუშვებლობა**

ცალმხრივი გარიგების ბრძანების სახით გამოხატვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მეტიც, ცალმხრივი გარიგების ცნების ადმინისტრაციულ სამართალში დამკვიდრება გაუმართლებელია. მას არ შესწევს უნარი, იყოს მოქმედი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული ორგანოს ხელში, რამდენადაც ზოგად ადმინისტრაციულ და საპროცესო სამართალში არ არის ჩადებული ის მექანიზმი, რომელიც ამ ინსტიტუტს აამოქმედებდა.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ცალმხრივი გარიგების აღიარება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს და ამოცანებს და არ შეესაბამება დოქტრინას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების შესახებ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების დადგენით ადმინისტრაციულ სამართალს შემოაქვს წესრიგი ორგანოს მრავალმხრივ და ქაოსურ საქმიანობაში, უქვემდებარებს მას სამართლის ნორმებს და გამჭვირვალეს ხდის ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას.

### **განმარტების საგანი 9:**

#### **ადმინისტრაციული ხელშეკრულება**

ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში დამკვიდრებული ცნება „ადმინისტრაციული გარიგება“, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით, ექვემდებარება ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების განმარტების საგანს.



ვალმხრივი გარიგების მნიშვნელობით გაგებას, ვინაიდან ხელშეკრულება ორმხრივი გარიგების კლასიკური ფორმაა. ხელშეკრულების, როგორც გარიგების, დახასიათებისას აუცილებელია ურთიერთგაცვლა შინაარსობრივად თანხვედრი ნების გამოვლინებისა ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ. ანუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2000წ. რედაქცია) ტერმინი „ადმინისტრაციული გარიგება“ განმარტებულ უნდა იქნეს „ადმინისტრაციული ხელშეკრულების“ მნიშვნელობით, რადგან ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ უშუალო სამართლებრივი შედეგი არა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების, არამედ მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა სურვილის დამთხვევის შედეგად დგება.

დიდი პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენის ფორმას წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტი და რეალაქტი.

ადმინისტრაციული სამართლის განვითარების შედეგად თანამედროვე ეტაპზე ადმინისტრაციული ხელშეკრულება აღიარებულია ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალურ და აუცილებელ ინსტრუმენტად.

#### **განმარტების საგანი 10:**

#### **პირის /საჯარო მოხელის/ სამსახურში მიღება ან გათავისუფლება, როგორც ადმინისტრაციული აქტი**

დიდმა პალატამ განმარტა, რომ პირის (საჯარო მოხელის) სამსახურში მიღება ან გათავისუფლება არის არა ცალმხრივი გარიგება, არამედ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც (მიღების შემთხვევაში) საჭიროებს ადრესატის თანხმობას. მოქალაქის მხრიდან თანხმობის გამოხატვის აუცილებლობის მოთხოვნის მიზანს არ წარმოადგენს მოქალაქის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დროს ხდება, არამედ უზრუნველყოფს ისეთი

გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილებას, რომელიც არ შედის მოქალაქის ინტერესებში.

თუ არ არსებობს შეთანხმება, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება, ხოლო თუ ადმინისტრაციული აქტი, ადრესატის თანხმობის საჭიროების შემთხვევაში, ასეთის გარეშე გამოიცემა, არის კანონსაწინააღმდეგო და გასაჩივრების შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ადრესატის მიერ გამოხატული ნება გადაწყვეტილების შინაარსის განმსაზღვრელია (ადმინისტრაციული ხელშეკრულება), თუ შემოიფარგლება თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობით (ადმინისტრაციული აქტი).

#### **14. განჩინება №ბს-1230-805**

**31 ოქტომბერი, 2005 წ.**

**დავის საგანი:** საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

*რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ს. აღდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე და მოპასუხეს დაეკისრა განაცდურის ხელფასის ანაზღაურება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე. საოლქო სასამართლოს განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. საოლქო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.*

*საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოწინააღმდეგე მხარე ს-მ, რომელმაც მიუთითა, რომ სა-*



ქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი შეტანილი იყო კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევით და მოითხოვა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეამოწმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში.

### **განმარტების საგანი: საკასაციო საჩივრის გასაჩივრების ვადა**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის საფუძველზე, რომელითაც განსაზღვრული იყო გასაჩივრების 14-დღიანი ვადა. აღნიშნული კოდექსის 2005 წლის 23 ივნისის კანონით 397-ე მუხლში შევიდა ცვლილება და გასაჩივრების ვადად დადგინდა ერთი თვე. საკასაციო სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში, როცა საკასაციო საჩივარი კასატორს შეტანილი ჰქონდა ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში, ე.ი. 14-დღიან ვადაში, რომლის დროსაც შევიდა ცვლილება ერთ თვიანი გასაჩივრების ვადის შესახებ, კასატორს უფლება მიეცა ამ ცვლილების საფუძველზე ესარგებლა გასაჩივრების ერთთვიანი ვადით. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ამ კოდექსის დროში მოქმედების პრინციპი, რომლიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა:

თუ საკასაციო საჩივრის შეტანა მოხდა ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონის ამოქმედებამდე, ხოლო შემდეგ მიღებულ იქნა ახალი კანონი, სასამართლო იყენებს ახალ კანონს დამოუკიდებლად იმისა, საკასაციო საჩივარი შეტანილი იყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების დროს, მაგრამ ამავე დროს საკასაციო საჩივრის შეტანისას

არ უნდა იყოს გასული გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების ახალი კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

### **15. განჩინება №ბს-1081-661(კ-05) 31 ოქტომბერი, 2005 წ.**

**დავის საგანი:** სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ბ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით. სასამართლომ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით განხორციელდა სამინისტროს ლიკვიდაცია, რასაც მოჰყვა საშტატო განრიგის გაუქმება და ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება, რის გამოც მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება კანონიერი იყო. მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ-მ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სავადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ბ-ს სააპელაციო საჩივარი; აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ-მ, მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ არ დააკმაყოფილა ბ-ს საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა სააპელაციო პალატის განჩინება.

**განმარტების საგანი:  
მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება  
ლიკვიდაციის გამო**

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულების პირველი პუნქტით დადგინდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაცია. ამავე ბრძანებულების მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლედ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მოსაზრებით, აღნიშნული არ ცვლის ამავე ბრძანებულების პირველი ნაწილს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საუბარია სამინისტროს მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ უფლებამონაცვლობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მითითებული პუნქტი გამორიცხავდა ამავე ბრძანებულების პირველ პუნქტს, რომელიც შეიცავს ცალსახა მითითებას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციაზე. ამ შემთხვევაში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა მომხდარიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოხელის სამსახურიდან დათხოვნისას არ დარღვეულა ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

**16. განჩინება №ბს-1043-625 (კ-05)  
28 ნოემბერი, 2005 წ.**

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

*ჯ-მ სარჩელი აღძრა რაიონულ სასამართლოში საბაჟო დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა სამუშაოდან დათხოვნის*

*შესახებ ბრძანების არაკანონიერად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომ მოპასუხემ არ დაიცვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა სხვა თანამდებობაზე გადასვლის შეთავაზების შესახებ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა ცნობილი საბაჟო დეპარტამენტის ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა ინსპექტორის თანამდებობაზე.*

*მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.*

*სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საბაჟო დეპარტამენტმა და მოითხოვა ჯ-ს სამუშაოზე აღდგენის ნაწილში საკასაციო წარმოების შეწყვეტა.*

*უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით დაკმაყოფილდა საბაჟო დეპარტამენტის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, შეწყდა წარმოება ჯ-ს სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში კასატორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.*

**განმარტების საგანი 1:  
ადმინისტრაციული აქტის ცნება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (ბრძანება) არის ადმინისტრაციული აქტი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და IV თავით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

## **განმარტების საგანი 2: ღისპოზიციურობის პრინციპი**

დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით, მაგრამ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ღისპოზიციურობის პრინციპი გარკვეულწილად შეზღუდულია და ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს საქმის მორიგებით დამთავრების, სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის ცნობის უფლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ შემცირებით ცნო სარჩელი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, რაც, დიდი პალატის აზრით არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების სასამართლოს მიერ არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, უკანონოდ დათხოვნილი მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. ადმინისტრაციის მიერ მუშაკის სამუშაოზე აღდგენა და, შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის ცნობა არ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილს.

## **განმარტების საგანი 3: იძულებითი განაცდური**

დიდი პალატის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს გათავისუფლების უკანონოდ ცნობასთან და სამუშაოზე აღდგენასთან

ერთად შეუძლია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულ შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს.

## **17. გადაწყვეტილება №ბს-817-403(კ-კს-05) 5 დეკემბერი, 2005 წ.**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და დღგ-ს ჩათვლების აღდგენა

შპს „ბ-ს“ დირექტორმა სარჩელით მიმართა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა: 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის აქტების, ქონების დაყადაღების შესახებ ბრძანებების, აგრეთვე, საინკასო დავალიანებების ბათილად ცნობა; 2. ანგარიშ-ფაქტურებით განხორციელებული დღგ-ს გადახდილად ჩათვლა; 3. ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად შპს „ბ-ს“ უკანონოდ დარიცხული გადასახადებისა და საურავების გაუქმება.

საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით შპს „ბ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ-მ“ და მოითხოვა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი

გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

უზნაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ბ-ს“ სარჩელი, გაუქმდა შპს-თვის ანგარიშფაქტურით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხული საურავი.

### **განმარტების საგანი 1: დამატებული ღირებულების გადასახადი**

საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საქონლის მყიდველის მიერ საგადასახადო ორგანოში ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა და გამყიდველისათვის დღგ-ის თანხის გადახდა არ წარმოადგენს საკმარის პირობას დღგ-ის ჩათვლის მისაღებად. ამ უკანასკნელის მისაღებად აუცილებელია ერთდროულად ორი პირობის არსებობა: საქონლის (მომსახურების) მყიდველის მიერ გამყიდველისათვის დღგ-ის გადახდა შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით და გამყიდველის მიერ დღგ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10.03.05 წლის №2/2/275.296.299 გადაწყვეტილებით დადგენილი განმარტების საფუძველზე ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულებას ითვალისწინებს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელის, ანუ საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიმწოდებლისგან, რაც ნიშნავს იმას, რომ დღგ-ის ჩათვლა წარმოადგენს შესაბამისი პირის უფლებას და შესაძლებლობას, გარკვეული პირობების დადგომის შემდგომ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს თანხის გადახდილად აღიარების უფლება.

### **განმარტების საგანი 2: დღგ-ს გადამხდელი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. დამატებული ღირებულების გადასახადი არაპირდაპირი მრავალსაფეხურიანი გადასახადია, რომლის გადახდის ტვირთი აწევა საბოლოო მომხმარებელს, შესაბამისად, დღგ მიეკუთვნება არაპირდაპირი გადასახადის სახეს. სწორედ დღგ-ს მრავალსაფეხურიანმა სისტემამ წარმოშვა გადახდის შემთხვევაში მისი შემდგომი ჩათვლის შესაძლებლობა.

მოცემულ პირობებში, დიდი პალატის მოსაზრებით, არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხის განსაზღვრას, თუ ვინ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს. საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქცია) 29-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელს, რომელიც ამ კოდექსის III და IV კარების საფუძველზე იწოდება გადასახადის გადამხდელად.

### **განმარტების საგანი 3: საურავი**

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ საურავი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის სახეს, რომელიც გამოყენებული ვერ იქნება იმ პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება გადასახადის გადამხდელად, ე.ი. თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მას საურავსაც ვერ დააკისრებ. ამ შემთხვევაში შპს „ბ“ არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს და დაუშვებელია, მის მიმართ საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საურავის დაკისრება.



**18. განჩინება №ბს-1230-805(კ-05)  
6 დეკემბერი, 2005 წ.**

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

ს-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების პირველი პუნქტის მე-12 ქვეპუნქტის ნაწილის უკანონოდ ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა, განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ს-ს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საოლქო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საოლქო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ს-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**განმარტების საგანი 1:**

**სამსახურებრივ საკითხებზე აქტების გასაჩივრება**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> პუნქტებით სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული სამართლებრივი აქტების (ბრძანების, განკარგუ-

ლების) გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. სარჩელის წარდგენა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას, ანუ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება (გადაწყვეტილება, განკარგულება) არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

**განმარტების საგანი 2:  
ტოლფასი თანამდებობა**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმებში არ არის მოცემული „ტოლფასი თანამდებობის“ ცნება. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული და განსაზღვრული დათხოვნილი მუშაკის ტოლფასი თანამდებობაზე აღდგენის დაშვების შესაძლებლობა.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე-207-ე მუხლებში გათვალისწინებულია კანონიერი საფუძვლის გარეშე დათხოვნილ ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანილ მუშა-მოსამსახურეთა აღდგენა წინანდელ სამუშაოზე. მითითებულ კოდექსში ტერმინი „ტოლფასი თანამდებობა“ მოხსენიებულია მხოლოდ 109-ე მუხლში, რომელიც არჩევით თანამდებობაზე არჩეულ მუშაკთა გარანტიებს ეხება და დიდი პალატის აზრით, არ შეიძლება იგი მთლიანობაში იქნეს გავრცელებული შრომით



ურთიერთობებთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას, ვინაიდან 109-ე მუხლი გამონაკლის შემთხვევას აწესრიგებს და დაკავშირებულია სამუშაოდან გათავისუფლებასთან მუშაკის არჩევით თანამდებობაზე არჩევის გამო, რაც სრულებით არ ნიშნავს მუშაკის ადმინისტრაციის ინიციატივით გათავისუფლებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში კანონმდებელმა განსხვავებულად მოაწესრიგა აღნიშნული სახის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მისი განსხვავებული ხასიათის გამო.

### **განმარტების საგანი 3: გამოსაცდელი ვადა**

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე თანამდებობაზე დანიშნული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გამოსაცდელი ვადით, რომელიც შეადგენს არა უმეტეს 6 თვეს, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, ანუ ადმინისტრაციის გადასაწყვეტია და მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურესთან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არადაამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ამ კანონით დადგენილი წესით. შრომის კანონთა კოდექსის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საგამოცდო ვადის განმავლობაში მუშაკზე მთლიანად ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი წესები, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ საჯარო სამსახურში

თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით მიღებულ პირზე ასევე მთლიანად ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

### **განმარტების საგანი 4: სხვა თანამდებობის შეთავაზების აუცილებლობა**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე. დიდმა პალატამ განმარტა, რომ შეთავაზებული შეიძლება იყოს სხვა, იგივე ან უფრო დაბალი რანგის თანამდებობა, ან სამუშაო ადგილი, მაგრამ შეთავაზება აუცილებლად უნდა მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ადმინისტრაციას, მიიღოს გადაწყვეტილება მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. თავად ადმინისტრაციაა ვალდებული, შესთავაზოს დასათხოვ მუშაკს სხვა თანამდებობა და მუშაკის მხრიდან განცხადებით მიმართვის არარსებობა ადმინისტრაციას არ ათავისუფლებს აღნიშნული მოვალეობისაგან.

### **განმარტების საგანი 5: აქტის ბათილად ცნობა**

ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. სადავო ბრძანება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისა და შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი

პროცედურული საკითხების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდება სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებას განეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის – მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი ბრძანება ს-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალოს კასატორს, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

## 2006 წელი

### 19. განჩინება №ბს-847-403(კ-კს-05)

19 აპრილი, 2006 წ.

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების განმარტება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების განმარტება.

**განმარტების საგანი:  
გადაწყვეტილების განმარტება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების

გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად.

პროცესის ზემოაღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით, ნათლად ჩამოყალიბებული და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ, ან შეუსაბამო დებულებებს, სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება არ ექვემდებარება განმარტებას.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ, მოცემულ შემთხვევაში, ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო მითითებებს, რის გამოც არ არსებობს გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა.

## 2007 წელი

### 20. გადაწყვეტილება №ბს-21-21(კ-07)

21 ივნისი, 2007 წ.

**დავის საგანი:** პენსიის დანიშვნა მოქმედი პროკურორის ხელფასის ოდენობის შესაბამისად, პენსიებს შორის სხვაობის ანაზღაურება

ა-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ. მან სამისდღეშიო საპენსიო უზრუნველყოფის უფლების საფუძველზე მოითხოვა, მოქმედი პროკურორის ხელფასის შესაბამისად, თვეში – 1700 ლარის, სრული საპენსიო უზრუნველყოფისა და 2006 წლის იანვრიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ყოველთვიურად 895 ლარის, პენსიებს შორის სხვაობის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაეისრება. აღნიშნული სარჩელი არ დაკმა-

ყოფილდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით. ამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ა-ს სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციასა და სამისდღეშიო პენსიას შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება. სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

**განმარტების საგანი 1:  
კომპენსაციის მიღების უფლება,  
კომპენსაციის ზედა ზღვარი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა ამ კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას მისივე არჩევით, აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება.

აღნიშნული ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო კომპენსაცია წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის სახეს, რომელიც ენიშნება მხოლოდ ხსენებული კანონით განსაზღვრულ პირებს იმავე კანონით დადგენილ ფარგლებში, კერძოდ, დასახელებული კანონის მე-7 მუხლით დადგინდა კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი, რომლის მიხედვითაც, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. აქედან გამომდინარე, პირს არ შეიძლება დაენიშნოს სახელმწიფო კომპენსაცია 560 ლარზე მეტი ოდენობით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მანამდე შესაბამისი კანონის საფუძველზე იღებდა პენსიას, რომლის ოდენობა აღემატებოდა 560 ლარს.

**განმარტების საგანი 2:  
კანონის (ნამდვილი) უკუძალა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისევე, როგორც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, წარმოადგენს საჯარო სამართლის, ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. კანონმდებელს შეუძლია კანონით ახლებულად დაარეგულიროს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა და ამა თუ იმ ნორმატიულ აქტს მიანიჭოს უკუძალა, რომლითაც შეიძლება, ფაქტობრივად, გაუარესდეს კიდევ პირის მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში კი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით განხორციელდა პენსიის ოდენობის ზედა ზღვრის შეზღუდვა კონკრეტული თანხის მითითებით, რაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეუძლებელია, სამართლებრივად გაუთანაბრდეს იურიდიული პასუხისმგებლობის დამძიმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალი საჯარო, საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას ემსახურება. თუ ახალი კანონით შემცირდა პენსიის ოდენობა იმ ოდენობასთან შედარებით, რაც ძველი კანონით იყო განსაზღვრული, ამ შემთხვევაში არასწორია ასეთი შემცირების მიჩნევა კანონის ნამდვილ უკუძალად. მიუხედავად იმისა, რომ წინანდელ ოდენობასთან შედარებით პენსიის ოდენობის შემცირებით პირის მდგომარეობა უარესდება, ახალი კანონით სოციალური უზრუნველყოფის მოცულობის შეზღუდვა, სამართლებრივად, არის არა ახალი კანონისთვის ნამდვილი უკუძალის მინიჭება, არამედ შესაბამისი სოციალური უფლების ლეგალური ტრანსფორმაცია.

**განმარტების საგანი 3:  
სოციალური უზრუნველყოფის სფეროს  
თავისებურებანი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ სოციალური სისტემის ფუნქციონირება და სოციალური უზრუნველყოფის მოცულობა სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობის ზარისხით არის დეტერმინირებული. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება, არ ვრცელდება საჯარო სამართლის სფეროზე.

**განმარტების საგანი 4:  
სახელმწიფო კომპენსაციის ცნება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე და 41-ე მუხლების პირველი პუნქტების გარდამავალი დებულებების ნორმებით ახლებურად მოწესრიგდა ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნება და განისაზღვრა ამავე კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, კერძოდ, დადგინდა, რომ ხსენებული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საკანონმდებლო აქტებით უკვე დანიშნულ პენსიებს დაერქვა ახალი ტერმინი – კომპენსაცია, ხოლო მანამდე დანიშნული პენსიების გაცემა უნდა მოხდეს ამავე კანონის შესაბამისად სახელმწიფო კომპენსაციის სახით.

დიდი პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ამ კანონის ამოქმედებამდე შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დანიშნული პენსიების შესახებ ერთიან საკანონმდებლო აქტს, რომელშიც თავი მოიყარა

ხსენებული აქტებით გათვალისწინებულმა ყველა სახის პენსიამ და მათ ეწოდა ახალი ტერმინი – სახელმწიფო კომპენსაცია და განისაზღვრა ამ კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონმა საკანონმდებლო წესით ჩაანაცვლა ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც პენსია ჰქონდათ დანიშნული იმ პირებს, რომლებზეც გავრცელდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება და სწორედ ამიტომ იქნა ამოღებული „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან მე-40 მუხლის მე-10 პუნქტი.

ამდენად, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ა-ზე კვლავ ვრცელდება „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

**21. განჩინება №ბს-132-123(კ-07)  
10 ივლისი, 2007 წ.**

**დავის საგანი:** სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ. მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო პროგრამების მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

გ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება. გ-ს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფი-

ფილდა, როგორც საქლავო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, ისე – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით.

### **განმარტების საგანი 1: სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოძინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამოძინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში გ-სა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დავა არ გამოძინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დაკავებული თანამდებობიდან

გ-ს გათავისუფლების შესახებ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თავმჯდომარის ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე.

### **განმარტების საგანი 2: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლის საფუძველზე, აღნიშნული აქტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას მიაჩნია, რომ დაკავებული თანამდებობიდან გ-ს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის, გათავისუფლების შესახებ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თავმჯდომარის ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და თავისი შინაარსის მიხედვით არც მოცემული დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისა.

### **განმარტების საგანი 3: საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის



შესახებ“ საქართველოს კანონში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნვა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღნიშნავს, რომ გ. მუშაობდა რა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში“ საინფორმაციო პროგრამების მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ, იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც ხსენებული ბრძანება

წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

## 22. განჩინება №ბს-335-317(კ-07) 24 სექტემბერი, 2007წ.

**დავის საგანი:** საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა

*სენაკის ზონალურმა საგადასახადო ინსპექციამ 2002 წლის ივლისის ბრძანების საფუძველზე შეამოწმა შპს „დ-ს“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობა. აღნიშნულზე შედგა საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლითაც შპს „დ-ს“ გადასახდელად დაერიცხა 22347 ლარი.*

*საგადასახადო შემოწმების შემდეგ, შპს „დ-ს“ დირექტორის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შპს „დ-ს“ დირექტორი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით (დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდება) და 204-ე მუხლით (საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). ამავე განაჩენით მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა არა 22347 ლარის, არამედ – 5172 ლარის (და არა 22347 ლარის) ანაზღაურება.*

*ზემოაღნიშნულის შემდეგ, 2005 წლის 18 ოქტომბერს, ფოთის საგადასახადო ინსპექციამ მიიღო საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმად, შპს „დ-ზე“ რიცხული საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 35366,48 ლარს, ხოლო საფუძველს წარმოადგენდა 2002 წლის ივლისის საგადასახადო შემოწმების აქტი.*

*შპს „დ-ს“ დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა*

სასამართლოს ხსენებული საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის შესახებ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – საგადასახადო მოთხოვნა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ შპს „დ-ს“ მიმართ ბათილად იქნა ცნობილი; შპს „დ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა მხოლოდ 5172 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფოთის საგადასახადო ინსპექციამ და მისი სააპელაციო საჩივარი ისევე, როგორც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილება, საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნა შპს „დ-სთვის“ 5172 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩა უცვლელად, დანარჩენი თანხის დარიცხვის ნაწილში, კი ბათილად იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფოთის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შპს „დ-სთვის“ დაკისრებული თანხების გაუქმების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

### **განმარტების საგანი 1:**

#### **ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოების კომპეტენცია და სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში შპს „დ-ს“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დასაბრუნებელი გადასახადების ოდენობის შესახებ საკითხი – შედეგობრივად სხვა-

დასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. გასარკვევია, როგორი სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს, როგორ უნდა დაიბეგროს გადასახადის გადამხდელი – კანონიერ ძალაში შესული განაჩენის თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, თუკი განაჩენით დამდგარი სამართლებრივი შედეგი გარკვეულწილად გამორიცხავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან გამომდინარე სამართლებრივ შედეგს და პირიქით.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი, თავის მხრივ, უკავშირდება იურისდიქციულ პრობლემებს – ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს, კერძოდ კი, მოცემულ შემთხვევაში – ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს, რადგან ამ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში იმდენასთან მიმართებით ამ სასამართლოთა კომპეტენცია ერთმანეთს კვეთს.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო, რომელიც თავის უწყებრივად ქვემდებარე და განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის, საქმის განხილვის პროცესში შეუძლია, გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძოსამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის მიუხედავად.

ამავდროულად, საერთო სასამართლოებს შიგნით, ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების კომპეტენციათა დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს ეკრძალება, ჩაერიოს როგორც სისხლის სამართლის, ისე – სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს კომპეტენციაში და განიხილოს მათი განსჯადი საქმეები და პირიქით.

ცალკეული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოთა შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განსჯადობის შესახებ წყვეტს საქართველოს

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

დავა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 22-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსჯად საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება.

**განმარტების საგანი 2:**  
**სისხლის სამართლის საქმეზე ინდივიდუალური**  
**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით**  
**დადგენილი ფაქტების საერთო წესით დადგენა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი გარემოებებიდან დანაშაულის ნიშნები იკვეთება, რის გამოც პირს ბრალდება წარედგინება სწორედ აღნიშნული აქტის საფუძველზე. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ გარემოებებს სისხლის სამართლის პროცესში არ ანიჭებს პრეიუდიციულ მნიშვნელობას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ფაქტებს სისხლის სამართალწარმოებაში არა აქვს სავალდებულო ძალა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საქმეზე, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს პრეიუდიციული ძალა. მიუხედავად ამისა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია) სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების მიზნით ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის წამოწყებისა და ამ დავის დასრულებამდე სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეჩერების შესაძლებლობას. ასეთი ადმინისტრაციული დავის აღძვრა მთლიანად ბრალდებულ პირზე დამოკიდებული, რომელიც ასეთ შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე ან იყენებს – ან – არა. თავის მხრივ, ასევე ალბათობის შემცველია, რამდენად მოესწრება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დადგომამდე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. ამ გადაწყვეტილებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მიმართ ექნებოდა პრეიუდიციული ძალა.

ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფაქტები სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ უნდა იქნეს საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო თუმცა პირდაპირ არ იხილავს აქტის კანონიერების საკითხს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების სისწორის შემოწმებისას, რომელიც, თავის მხრივ, სწორედ აღნიშნულ აქტს ეფუძნება, იმავდროულად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფაქტობრივ დასაბუთებულობაში „იჭრება“ და ამ აქტით ერთხელ უკვე დადგენილი ფაქტების სისწორეს ხელახლა ამოწმებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ, მართალია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს არ შეუძლია, ბათილად, ძალადაკარგულად, არარად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ იგი ფლობს სრულ იურისდიქციას დანაშაულის

ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სასჯელის გამოყენების საკითხზე; ამ მიზნით მას აქვს სპეციალური კომპეტენცია, შეამოწმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი გარემოებები აღნიშნული აქტის კანონიერების საკითხის განხილვის გარეშე და დაადგინოს ამ აქტით დადგენილისაგან განსხვავებული ფაქტები, ასევე მოახდინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარაობის საფუძვლების კონსტატირება.

სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ, რომელზეც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წაყენებული ბრალდება შემოწმდა და განაჩენი დადგა, შემდგომში შეიძლება კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის კონკურენცია წარმოიშვას და საჭირო გახდეს ადმინისტრაციულ საქმეზე საგადასახადო შემოწმების აქტით დადგენილი ფაქტების ხელახლა დამტკიცება, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია.

### **განმარტების საგანი 3:**

#### **ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციული ძალა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კანონის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ასეთი ფაქტების დასადასტურებლად. ამდენად, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსი უშვებს, რომ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც უკვე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, სასამართლომ თავის მიერ განსახილველ საქმეზე მიიღოს როგორც უტყუარი და უდავო, როგორც წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალის, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონე და აღარ შეამოწმოს იგი. ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის კანონიერების, ჭეშმარიტებისა და უტყუარობის პრეზუმფცია, რომელიც გამორიცხავს განაჩენით დადგენილი ფაქტების საეჭვოობას და აქედან გამომდინარე, ხელახლა დამტკიცების საჭიროებასაც. აღნიშნული პრეზუმფციიდან, ასევე პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიდან გამომდინარე, რიგი ფაქტების სისწორეზე ერთხელ უკვე განხორციელებული სასამართლო კონტროლის შემთხვევაში, იმავე ფაქტების სისწორის სასამართლოს მიერ განმეორებით შემოწმებას კანონმდებელი საჭიროდ აღარ მიიჩნევს.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო და შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პრეიუდიციული ძალა აქვს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ არა ყველა, არამედ მხოლოდ შემდეგ ფაქტებს:

- ა. ჰქონდა თუ არა მოქმედებას (უმოქმედობას) ადგილი;
- ბ. ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება კონკრეტულმა პირმა.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ყველა სხვა ფაქტი, მათ შორის, ფაქტი იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის ზიანი გამოიწვია მოქმედებამ, პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის და მისი შემოწმების მოვალეობისაგან სასამართლო არ თავისუფლდება. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ოდენობა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია და ქმედების საკითხი ოდენობის დადგენის გარეშე ვერ გადაწყდება.



**განმარტების საგანი 4:  
განაჩენის პრეიუდიციული ძალის სუბიექტური  
მოქმედების ფარგლები**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ განაჩენის პრეიუდიციულობის საკითხი დგება მხოლოდ იმ საქმეზე, რომლის დავის საგანია იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განმხილველი სასამართლოსათვის განაჩენი სავალდებულოა მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვის შესახებაც გამოტანილია იგი.

**განმარტების საგანი 5:  
პრეიუდიციულობის კავშირი ბრალის დადგენასთან**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, პრეიუდიციულობა პროცესუალური საკითხია, მაგრამ, არცთუ იშვიათად, იგი ბრალის დადგენას უკავშირდება. სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის (გადასახადისათვის თავის არიდების) ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს განზრახვის არსებობა. ამის გამო გადასახადისათვის თავის არიდება ყოველთვის არ იძლევა აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას – ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა გადასახადისათვის თავის არიდება განზრახ განხორციელდა, მაშინ, როდესაც საგადასახადო პასუხისმგებლობა დგება, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო შემოწმების აქტის ან საგადასახადო მოთხოვნის კანონიერების შემოწმებისას, რომელთა მიხედვით, საგადასახადო პასუხისმგებლობა დგება გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც.

შპს „დ-ს“ დირექტორს ბრალი წარდგენილი ჰქონდა

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საგადასახადო აქტით დარიცხული 22347 ლარის გადახდისაგან განზრახ თავის არიდებისათვის, ხოლო განაჩენით დაუდასტურდა მხოლოდ 5172 ლარის გადახდისათვის განზრახ თავის არიდება. საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხულ 22347 ლარსა და განაჩენით დადასტურებულ 5172 ლარს შორის სხვაობის მიზეზია არა განზრახვის არარსებობა, არამედ – ოდენობის დაუდასტურებლობა, რის გამოც ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ გაუფრთხილებლობით გადასახადებისაგან თავის არიდებისა და აღნიშნულისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხი არ დგას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს სწორად მიანიჭა პრეიუდიციული ძალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სწორად მიიჩნია, რომ საგადასახადო შემოწმების აქტით, რომელიც სადავო საგადასახადო მოთხოვნის საფუძველია, განაჩენით დადგენილისაგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება – საგადასახადო მოთხოვნა გადასახადის გადამხდელს ვერ წარედგინება თანხაზე, რომლის დარიცხვის სისწორეც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადასტურდა.

**23. განჩინება №ბს-132-123(კ-07)  
12 ნოემბერი, 2007წ.**

**დავის საგანი:** განჩინების განმარტება

*უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2007 წლის 10 ივლისს განიხილა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი მოსარჩელე გ-ს მიმართ, რომლითაც იგი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებასა*



და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №ბს-132-123(კ-07) განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მოკუმული საქმე განსახილველად გადაეცა განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

გ-ს წარმომადგენელმა უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის №ბს-132-123(კ-07) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ-ს არასოდეს ჰქონია ადმინისტრაციასთან კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა.

### **განმარტების საგანი: გადაწყვეტილების განმარტება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინება) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინება) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინება) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინება) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია და შესაბამისად, გაუგებარია მხარისათვის. გარდა ამისა, გადაწყვეტილების (განჩინება) განმარტების შესახებ განცხადების შეტანა უშუალოდ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, აღსრულებულია თუ არა გადაწყვეტილება (განჩინება) და გასულია თუ არა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება აღსრულდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა დამატებით განმარტავს, რომ გადაწყვეტილების (განჩინება) განმარტების მიზანს სწორედ მისი აღსრულების ხელშეწყობა

წარმოადგენს, ანუ აღსრულების ხელშეწყობის ელემენტი აუცილებელია გადაწყვეტილების განმარტებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ გადაწყვეტილებაში იგულისხმება გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას, ხოლო ის განჩინება, რომელიც მიღებულ იქნა განსჯადი, უფლებამოსილი სასამართლოსათვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ, ანუ რომლის სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი მხოლოდ აღნიშნულ საპროცესო საკითხს შეეხება, ვერ დაექვემდებარება აღსრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის №ბს-132-123(კ-07) განჩინება მიღებულ იქნა კონკრეტულ საპროცესო საკითხზე (საქმის განსახილველად გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის), დასახელებული განჩინება შეუძლებელია დაექვემდებაროს განმარტებას.

## **2009 წელი**

### **24. განჩინება №ბს-1537-1494(კ-08)**

**28 ივლისი, 2009 წელი**

**დავის საგანი** – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

პ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ (ამჟამად – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო). მოსარჩელემ მოითხოვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშების, გ-ს სახელზე თბილისში, ... ქ. №61-ში, რიცხულ უძრავ ქონებაზე ჩატარებული აუქციონის შედეგად გადახდევინებული თანხის კრედიტორთა შორის განაწილების შესახებ ბათილად ცნობა, ასევე – აღნიშნულ კრედიტორთა შორის განაწილების ახალი გაანგარიშების შედგენა და აუქციონის შედეგად გადახდევინებული თანხიდან მისთვის განკუთვნილი წილის გადახდა. მანვე მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დავაღდებულება ი/კ „ბარისტერის“ მიერ გ-ს მიმართ, მასზე რიცხული სხვა ქონებიდან, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელეზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების განახლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით პ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის გაანგარიშება; მოპასუხეს დაევალა, რომ აუქციონის შედეგად გადახდევინებული თანხის კრედიტორთა შორის განაწილების ახალი გაანგარიშებისა და სააღსრულებო ფურცელზე აღსრულების გავრძელების საფუძველზე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ერთი თვის ვადაში, გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით პ-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პ-ს სარჩელი ნაწი-

ლობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაევალა ი/კ „ბარისტერის“ მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების განახლება კანონით დადგენილი წესით; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ.

#### განმარტების საგანი 1:

**საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი საკითხი – ხსენებული აქტის კანონიერების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობაზე. ამ შემთხვევაში

სარჩელის საგანზე არსებითად მსჯელობისა და მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და ამ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების სრულყოფილ გამოკვლევას.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განაცხადა უარი სადავო საკითხის გადაწყვეტაზე, რომ საერთოდ არ იმსჯელა მოპასუხის მოტივებზე. შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და არ დაადგინა, თუ რატომ იყო შეუძლებელი მის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა, თუ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს რომელი საკითხების გადაწყვეტა განეკუთვნებოდა ხსენებული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლო თვითონ ვერ იმსჯელებდა აღნიშნულ საკითხზე და ვერ გადაწყვეტდა მას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მეორე მოთხოვნა (აღსრულების განახლება) არსებითად დააკმაყოფილა.

### **განმარტების საგანი 2: მესამე პირთა ჩაბმის სავალდებულობა**

დიდი პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება მიწვეულ იქნენ მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. დიდი პალატა აღნიშნული ნორმის შესაბამისად შეეცადა, საქმეში სავალდებულო მიწვევის მესამე პირის სტატუსით ჩაება გ-ი საკასაციო ინსტანციაში და გაერკვია,

სადავოდ ხდიდა თუ არა იგი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საჭირო იყო მისი თანხმობა. გ-მ უარი განაცხადა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე. ამდენად, დიდი პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ გ-ი სავალდებულო მიწვევის მესამე პირის სტატუსით უნდა ჩააბას საქმეში.

### **განმარტების საგანი 3: კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა**

იპოთეკით დატვირთული მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ მიუთითა, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის XIII თავი უძრავ ქონებაზე აღსრულების ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს იძულებით აუქციონს, ხოლო XIV<sup>1</sup> თავში რეგლამენტირებულია გადახდევინებული თანხების განაწილება კრედიტორთა შორის. აღნიშნული თავის 82<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ერთი რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, კერძოდ, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად. რაც შეეხება აღნიშნული კანონის 82<sup>3</sup>-ე მუხლს, ხსენებული ნორმა ეხება პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნებს და არა – იპოთეკართა რიგითობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 290-ე მუხლის თანახმად, ერთი უძრავი ნივთი შეიძლება

რამდენჯერმე დაიტვირთოს იპოთეკით. ამავე მუხლში განმარტებულია, რომ რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით. ამდენად, ერთი სახის მოთხოვნით უზრუნველყოფილ კრედიტორთა რიგითობა განისაზღვრება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროის მიხედვით.

#### **განმარტების საგანი 4: აღმასრულებლის მიერ გაანგარიშების შედგენა**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82<sup>4</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მრავალი კრედიტორის არსებობისას, თუ მოვალისათვის გადახდევინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღმასრულებელი ადგენს კრედიტორთა შორის თანხის განაწილების გაანგარიშებას და თანხას გაცემს მის შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით თუ რომელიმე კრედიტორი შედგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით გამოთქვამს პრეტენზიას, აღმასრულებელი გაანგარიშებას დასამტკიცებლად სამი დღის ვადაში წარუდგენს სასამართლოს.

#### **განმარტების საგანი 5: კრედიტორის დაკმაყოფილების ფარგლები**

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი (მოგირავენე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხოლო იმავე კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში

მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა), რაც ამომწურავად განსაზღვრავს იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალებებს: ნივთის რეალიზაციით ან ამ ნივთის საკუთრებაში გადაცემით. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირდაპირ დადგინდა ზოგადი წესი, რომლითაც გირავნობის საგნის რეალიზაციისას (აგრეთვე – გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისას), მიუხედავად იმისა, ამონაგები თანხა ფარავს თუ არა უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მსგავს დათქმას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი იპოთეკასთან მიმართებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები ნამეტი თანხა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს; გაუმართლებელია, დაისაჯოს მოვალე საბაზრო ფასზე დაბალ ფასში უძრავი ნივთის რეალიზაციით. უზრუნველყოფის სანივთო უფლების (იპოთეკის) დადგენისას მხარეები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას, ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციაა სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ პირობებში



ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი. იგი ხელს უწყობს მოვალის ინიციატივას, აქტიურად გამოიყენოს იპოთეკა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. ამასთან, უცვლელი რჩება იმ მესაკუთრის სამართლებრივი სტატუსი, ვინც არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმებს შემოაქვს სახელშეკრულებო თავისუფლების ელემენტები სანივთო სამართალში, აძლევს რა მხარეებს შესაძლებლობას, წინასწარ შეთანხმდნენ სტანდარტულ წესზე, კერძოდ იმაზე, რომ რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ნაკლებობისას მოთხოვნის უფლება არ გაუქმდება. ბუნებრივია, კანონისგან განსხვავებული შეთანხმების მიღწევა დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე, რაც მოქნილს ხდის იპოთეკური კრედიტის პირობებს. ამ შემთხვევაში განსხვავებული იქნება რეალიზაციისა და სააღსრულებო მოქმედებების თანმიმდევრობა. სხვა ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იპოთეკის საგნის რეალიზაცია დასრულდება.

### **განმარტების საგანი 6: მოვალის დამცავი საშუალებები**

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციისას კრედიტორის უფლებების განხორციელებასთან ერთად უნდა შესრულდეს გარკვეული დამცავი დებულებები მოვალის სასარგებლოდაც, მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში მოვალის მიმართ გამკაცრდა როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი დებულებები, ისე – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები; ახლებურად ჩამოყალიბდა 301-ე, 303-ე, 304-ე და 309-ე მუხლები, გამოირიცხა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აუქციონის არაჯეროვნად ჩატარების გამო და შეიცვალა აუქციონის წესები. ამ პირობებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე და მე-300 მუხლების ახალი რედაქცია ისე

ჩამოყალიბდა, რომ მასში გათვალისწინებულ იქნა მოვალის დამცავი საშუალებებიც.

დიდმა პალატამ საზგასმით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმები დისპოზიციურია, რაც მხარეებს შესაძლებლობას უტოვებს, შეთანხმდნენ კანონისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგზე. აღნიშნული დათქმა პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და მე-300 მუხლის მე-3 ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს შესაძლებლობას, მხარეები შეთანხმდნენ განსხვავებულ წესზე, რა დროსაც თუ მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, კრედიტორი (იპოთეკარი) კვლავაც იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს სხვაობა ამონაგებ თანხასა (საგნის ღირებულებასა) და მოთხოვნის ოდენობას შორის მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევით.

### **განმარტების საგანი 7: პროცედურული ნორმების განმარტება დროში**

დიდი პალატა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და 435-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ პროცედურული ნორმები მოქმედებს დროში. ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 113-ე მუხლიც, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს განიხილავდა სპეციალურ, პროცედურულ ნორმებად, რომელთა საფუძველზეც სასამართლო აღმასრულებელი განა-



ხორციელებდა აღსრულებას. ამდენად, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და 113-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას ხელმძღვანელობს აღსრულების დროს მოქმედი პროცედურული ნორმებით.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი სისხლის საპართლის საქმეებზე**

**2001 წელი**

**1. განჩინება №66-კოლ  
13 ნოემბერი, 2001წ.**

*თუ პროკურორი სასამართლოში უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი (სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილი).*

**განმარტების საგანი 1:  
სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც კანონი იმპერატიულად მოითხოვს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმის წარმოებით შეწყვეტას, სასამართლო კოლეგიის მიერ რაიმე კანონის დარღვევაზე მსჯელობის საფუძველი არ არსებობს.

**განმარტების საგანი 2:  
დაცვის უფლება**

საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ არასწორად იქნა განმარტებული საპროცესო კანონის მოთხოვნები და დარღვეულ იქნა გ. ა-ს დაცვის უფლება, დიდი პალატა არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს სასამართლო კოლეგია განიხილავდა მოქმედი

საპროცესო კანონის მოთხოვნათა საფუძველზე და კოლეგიალურად იღებდა გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ საკითხი თითქოს დარღვეულ იქნა გ. ა-ს დაცვის უფლება, პალატამ არ გაიზიარა. კერძოდ, გ. ა-ს საქმის სასამართლო განხილვისას იცავდა მის მიერ მოწვეული ორი ადვოკატი, შემდეგ მათ მიატოვეს სასამართლო სხდომის დარბაზი, თუმცა სასამართლო კოლეგიამ ისინი არ გაათავისუფლა დაცვის მოვალეობისაგან და დამატებით, სახაზინო წესით, დაუნიშნა კიდევ ერთი ადვოკატი, რომელსაც მიეცა დრო საქმის მასალების გასაცნობად. შემდეგ განსასჯელ გ. ა-სა და ადვოკატს შორის მომხდარი შეკამათების გამო, განსასჯელმა აიძულა დამცველი, რომ მიეტოვებინა სხდომა. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქმედება მიმართული იყო სხდომის ჩაშლისაკენ.

საქმის განხილვის შემდგომი გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, ადვოკატების მონაწილეობის გარეშე გაეგრძელებინა საქმის განხილვა. ასეთი გარემოებების არსებობისას არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, თითქოს დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება.

## 2. განჩინება №71-კოლ 3 დეკემბერი, 2001 წ.

*სასამართლო კოლეგიამ ამნისტია გამოიყენა იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა ამნისტიის შესახებ დადგენილების გამოცემამდე, იტებნებოდა და მსჯავრდებული გახდა ამნისტიის აქტის გამოცემიდან, ასევე, მისი შესრულების სამთვიანი ვადის გასვლიდან ცხრა წლის შემდეგ.*

### განმარტების საგანი: ამნისტია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, ზ. ლ-მ დანაშაული ჩაიდინა 1992

წლის 27 თებერვლის ამნისტიის აქტის გამოცემამდე, მაგრამ იგი არ მიეკუთვნება იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს 1992 წლის 27 თებერვლის დადგენილება ამნისტიის შესახებ, რადგან ზ. ლ. ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული 1991 წლის 25 აპრილს, იმავე დღეს ქ. თბილისის პროკურატურის მიერ მის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, რაც სანქცირებულ იქნა პროკურორის მიერ. იმავე დღეს გამოცხადდა ტებნაც. იგი იტებნებოდა 1999 წლის 25 ნოემბრამდე.

1992 წლის 27 თებერვლის ამნისტიის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან პირები, რომლებზეც გამოცხადებულია ტებნა.

საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, რომ მსჯავრდებული ამნისტიის აქტის გამოცემამდე და, ასევე, მისი მოქმედების პერიოდში იყო ტებნილი. მართალია, ამნისტიის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილი უნახევრდებათ მსჯავრდებულებს, რომლებიც არ თავისუფლდებიან სასჯელისაგან, მაგრამ ამ მუხლში მითითებულია, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილი უნახევრდებათ მხოლოდ მსჯავრდებულებს, ე.ი. იმ პირებს, რომლებიც ამნისტიის გამოცემის დროს ან მისი მოქმედების განმავლობაში არიან მსჯავრდებულნი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩინით. ზ. ლ. არც ამნისტიის გამოცემამდე, არც მისი შესრულებისა და მოქმედების ვადაში, მსჯავრდებული არ ყოფილა.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, 1992 წლის 27 თებერვლის ამნისტიის შესახებ დადგენილების მე-5 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ამნისტიის გამოცემამდე ან მისი მოქმედების ვადაში იყვნენ მსჯავრდებულნი.

მაშასადამე, ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული გახდა ამ ვადის, ე.ი. 1992 წლის 27 მაისის შემდეგ, არ უნდა იქნეს გამოყენებული ამნისტიის შესახებ დადგენილების მე-5 პუნქტი.

## 2002 წელი

### 3. განჩინება №168-აპ 25 ნოემბერი, 2002 წ.

მსჯავრდებულ ზ.უ-ს ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით (1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი). მან სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების მიზნით გადაწყვიტა კოლონიდან გაქცევა. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით, თავის საკანში საწოლის ქვეშ დაიწყო გვირაბის გათხრა, რომელიც აღმოაჩინეს დაწესებულების თანამშრომლებმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო განაჩენით ზ.უ. გამართლებულ იქნა მე-19,379-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სახელმწიფო ბრალდებელმა საკასაციო საჩივრით განმარტა, რომ ესაა დანაშაულის მცდელობა – განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, ამიტომ მოითხოვა განაჩენის გაუქმება.

#### განმარტების საგანი: თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევის მცდელობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, რომ მსჯავრდებულის ქმედება არის თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის პირობების განზრახ შექმნა, ანუ დანაშაულის მომზადება და მიიჩნია, რომ ესაა არა დანაშაულის მომზადება, არამედ გაქცევის მცდელობა.

მართალია, როგორც მომზადება, ასევე, მცდელობა დაუძთავრებელი დანაშაულია, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება

განზრახვის აღსრულების ინტენსივობის თვალსაზრისით: თუ მომზადება მხოლოდ პირობების შექმნას გულისხმობს, მცდელობა უშუალოდაა მიმართული შედეგის განხორციელებისაკენ, რაც მოცემულ შემთხვევაში მოხდა. ამრიგად, მსჯავრდებულმა განზრახვის მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზაცია მოახდინა (დაიწყო გვირაბის გათხრა), ხოლო განზრახვის ბოლომდე განხორციელებაში კი ხელი შეუშალა სასჯელის აღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელმაც აღმოაჩინა მის მიერ ნაწილობრივ გათხრილი გვირაბი. ამით მსჯავრდებული განხორციელებული ქმედების ინტენსივობით გასცდა დანაშაულის მომზადების სტადიას და უშუალოდ გადავიდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომდევნო სტადიაზე – დანაშაულის მცდელობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზ. უ-მ თავისი ქმედებით არა მარტო განზრახ შექმნა პირობები დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მიღწეა დაუძთავრებელი მცდელობის სტადიას, რაც, სსკ-ის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

თავისუფლება აღკვეთილი პირის მიერ გვირაბის თხრა, პატიმრობის ადგილიდან გაქცევის მიზნით, წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება დროში და სივრცეში იმდენად არის დაშორებული შედეგთან, რომ შედეგის მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია; იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი შედეგის მიღწევა რეალურია, ეს არის დანაშაულის მცდელობა.

## 2003 წელი

### 4. განჩინება №54-კოლ 18 დეკემბერი, 2003წ.

მსჯავრდებულებს ჩ-ს და ვ-ს განაჩენით მსჯავრი დაედოთ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დამზადების,

შენახვის, ტარებისათვის, დამამბიბებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისათვის.

**განმარტების საგანი:  
ხანდაზმულობა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ დაეთანხმა საკასაციო საჩივრის მოსაზრებას მსჯავრდებულების სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით. სსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტიანათვის ამოიწურა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.

მსჯავრდებულებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალად შერაცხული დანაშაული ჩადენილი აქვთ 1992 წლის 16 ივნისს და ისინი ბრალდებულების სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს 1999 წელს, როცა ამოწურული არ იყო დანაშაულის ჩადენის მომენტიანათვის მოქმედი სსკ-ის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, ამიტომ ადვოკატის მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გრძელდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ გაიზიარა.

2004 წელი

**5. განჩინება №107-კოლ  
9 თებერვალი, 2004წ.**

მსჯავრდებულ ი.კ-ს ჩადენილი დანაშაულებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქციით) თანახმად, შეფარდებული ჰქონდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა. მისი რეაბილიტაციის შედეგ უკანონო, დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი საბოლოოდ განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ.

**განმარტების საგანი 1:  
რეაბილიტაციის აქტი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ მიიჩნია, რომ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე, სასამართლო განჩინება გამამართლებელი საფუძვლით პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იწვევს მის რეაბილიტაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის მიხედვით ასეთი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს რეაბილიტაციის აქტს.

**განმარტების საგანი 2:  
მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა**

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში

მიუთითოს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს უფლებების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. იგი უნდა განისაზღვროს გონივრულად და სამართლიანად.

**6. განჩინება №9-აპ  
3 მაისი, 2004წ.**

საბრალდებო დასკვნის თანახმად, სს „თბილგაზი“ აწვდიდა რა მოსახლეობას ბუნებრივ გაზს, მოხმარებული ღირებულების ამოღებას ახორციელებდა მრიცხველებზე დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, მაგრამ მოსახლეობას ასევე ჰქონდა დადგენილი ნორმის ზემოთ დატაცებული მოხმარებული აირიც, რაც საგადასახადო კოდექსის 90-96-ე მუხლების შესაბამისად, უნდა დაბეგრულიყო დამატებითი ღირებულების გადასახადით. აღნიშნულს სს „თბილგაზის“ სარეალიზაციო სამსახური აღრიცხავდა ტექნიკურ დანაკარგებში და, აქედან გამომდინარე, არ იბეგრებოდა მოსახლეობისათვის რეალურად მიწოდებული და მის მიერ რეალურად მოხმარებული გაზი.

აღნიშნული საკითხი, სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ინსტანციების განხილვის საგანი გახდა.

**განმარტების საგანი:  
გადასახადისათვის თავის არიდება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს განზრახვა. გადასახადებისაგან თავის არიდება ყოველთვის არ ნიშნავს დანაშაულებრივ ქმედებას. გადასახადებისათვის თავის არიდება მხოლოდ მაშინ იძლევა სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, თუ პირი განზრახ შეგნებულად ახდენს მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვას ან შემცირებას, რათა თავი აარიდოს გადასახადების გადახდას.

**2005 წელი**

**7. განჩინება №224-აპ  
14 თებერვალი, 2005წ.**

საქმეში არსებული მასალებით ქართული ბიზნესის ალორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნებოდა მოქალაქეებისაგან თანხების მოზიდვა და ყოველთვიურად თანხობრივი პროცენტების გაცემა. ამ საქმიანობიდან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის მე-8, მე-17, 28-ე, 62-ე, 64-ე და 218-ე მუხლების თანახმად, ფონდის ხელმძღვანელს ევალებოდა მოქალაქეებზე გაცემული დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა - საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 10%-ის შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფის გამო,



ფონდის ხელმძღვანელი ცნობილ იქნა დაძნაშავედ სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი).

2006 წელი

**8. განჩინება №202-კოლ  
14 ივნისი, 2006წ.**

**განმარტების საგანი:  
მოგების შემოსავლის ან გადასახადით დასაბეგრი  
სხვა ობიექტების დამალვა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის მიერ მოქალაქეებზე პროცენტის სახით გაცემული და მოქალაქეების მიერ პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი უნდა დაბეგრილიყო, რადგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, არ იბეგრება საბანკო დაწესებულებაში ანაბრის პროცენტი, მაგრამ საქმის მასალების მიხედვით, ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდი არ წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებას, არამედ ფონდის საქმიანობა განისაზღვრებოდა ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალური ხასიათით, ამიტომ „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, იგი წარმოადგენდა დაბეგვრის ობიექტს, ამასთან, კალენდარული წლის განმავლობაში უნდა დაბეგრილიყო როგორც ფულადი (ეროვნული ან საზღვარგარეთული ვალუტით), ისე – ნატურალური ფორმით მიღებული ერთობლივი შემოსავალიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შემოწირულობის ფორმით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირები ყოველთვის უნდა მათ მიერ ფონდში შემოწირულობის სახით შეტანილი თანხისათვის იღებდნენ პროცენტებს, რაც უნდა დაბეგრილიყო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. გაამართლა რა სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, განაჩენში მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების მხარის იმ ვერსიის უტყუარად დადასტურებისათვის, რომლის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალება, რაც მსჯავრდებულის კუთვნილი ავტომანქანიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, მის მიერ ნამდვილად ჰოლანდიაში იქნა შეტანილი, რის შემდეგაც, რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრის დაუბრკოლებლად გავლით შემოიტანა საქართველოში.

**განმარტების საგანი 1:  
დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების  
საქართველოში არაერთგზის შემოტანა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გაიზიარა სასამართლო კოლეგიის ეს პოზიცია და საკმარისად ვერ მიიჩნია ბრალდების ამ ნაწილში სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი მოტივები, რომელთა მიხედვით: „საზღვარგარეთ პრეპარატ „სუბოტექსის“ თავისუფლად და ხელმისაწვდომ ფასში შეტენის შესაძლებლობა, საქართველოში ამ პრეპარატის ძალზე მაღალი ფასი და სახელმწიფოს საბაჟო საზღვარზე არაჯეროვანი კონტროლი რეალურ და უდავო საფუძველს წარმოადგენს ბრალდებულის მსჯავრდებისათვის, ვინაიდან ასეთ პირობებში მას ნამდვილად შეეძლო ნარკოტიკული საშუალების საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის აზრით, ასეთი დასაბუთება, რომელიც მტკიცების თვალსაზრისით ვერ სცილდება ვარაუდისა და დაუდასტურებელი ეჭვის დონეს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მსჯავრდებას. ბრალდების ამ საქმეში არ მოიპოვება თუნდაც არაპირდაპირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ნამდვილად ჰოლანდიაში ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყანაში შეიძინა და იგი საქართველოს საბაჟო საზღვრის გავლით საქართველოში შემოიტანა. მით უფრო, საერთოდ უსაფუძვლოა ბრალდება მის მიერ ამ მოქმედების არაერთგზის ჩადენის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობაში, მართალია, პირდაპირ არ არის მითითებული ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალების შექმნის ადგილი, რომელშიც იგულისხმება არა უშუალოდ რომელიმე ადგილი, მაგალითად, უცხოეთის რომელიმე ქალაქი ან სხვა დასახელებული პუნქტი, არამედ ხსენებული ქმედების ჩადენა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ნებისმიერ ადგილზე, მაგრამ იგი წარმოადგენს მითითებული შემადგენლობის ფარულ და, ამასთან, აუცილებელ ნიშანს, რომლის გარეშეც ხსენებული დანაშაული არ არსებობს.

**გამარტების საგანი 2:**  
**ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა,**  
**გადაზიდვა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა დაცვის მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტები და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნის ადგილი, დრო და ვითარება არ მიეკუთვნება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობის აუცილებელ ელემენტებს, რომელთა გარეშეც ეს ქმედება ვერ იარსებებდა. ხსენებულ

გარემოებს ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაკულტატური მნიშვნელობა აქვთ და მათი დადგენა არ წარმოადგენს აუცილებლობას მითითებული სისხლისსამართლებრივი ნორმით ქმედების დაკვალიფიცირებისათვის. თვით ფაქტი მსჯავრდებულის ავტომანქანიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ ამოღებისა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ დაკავებამდე და ჩხრეკის ჩატარებამდე იგი თავისი ავტომანქანით, რომელშიც ჩხრეკის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება აღმოჩნდა, გადაადგილდებოდა დიდ მანძილზე – აჭარიდან თბილისის მისადგომებამდე, მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა და გადაზიდვა დიდი პალატისათვის სარწმუნო გახდა, რადგან საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა რაიმე რეალური საფუძველი სხვაგვარი ვერსიის განვითარებისათვის. რაც შეეხება საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის დაუზუსტებლობას, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ისეთ ქმედებასთან მიმართებაში, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მისი კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ ქმედებათა ჩადენის მოტივსა და მიზანს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩადენა მხოლოდ განზრახ არის შესაძლებელი. აღნიშნულ გარემოებებს სისხლის სამართლის კანონმა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიანიჭა სხვა შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ნარკოტიკული საშუალება შექმნილია მცირე ოდენობით პირადი მოხმარების მიზნით, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქმედების მოტივისა და მიზნის კონკრეტულ შინაარსს, ამ ქმედების არსებობისა თუ არარსებობის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება, რის გამოც ამ მხრივ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაცია სადავო ვერ გახდება.

**განმარტების საგანი 3:  
საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ  
საკადრო საკითხებზე გამოცემული ინდივიდუალური  
ადმინისტრაციული აქტი**

მოცემულ სადავო საკითხში საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ არც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და განმარტა, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ საკადრო საკითხებზე გამოცემული ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს, რომლის გამოცემისა და ძალაში შესვლის წესები განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმებით, ვინაიდან „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში უშუალოდ არააფერია მითითებული ხსენებულ საკითხებზე.

ეს მოსაზრება გამომდინარეობს საქართველოს მოქმედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში მოცემული შესაბამისი ნორმების ადეკვატური გაგებიდან, რაც, ასევე, განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის პრაქტიკით.

საკითხი იმის თაობაზე, რაიონული პროკურორი ან მისი ყოფილი თანაშემწეები, როდესაც ისინი ბრალდებულის მიმართ ახორციელებდნენ საპროცესო კანონით განსაზღვრულ საგამომიებო მოქმედებებს, იმყოფებოდნენ თუ არა კანონიერ უფლებამოსილებაში, თავის მხრივ, უკავშირდება პროკურატურის ორგანოებიდან მათი დათხოვნის შესახებ გენპროკურატურის ბრძანებების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხს. დიდმა პალატამ სავსებით გაიზიარა და დაეთანხმა პროკურატურის იმ თვალსაზრისს, რომელიც წარმოდგენილი იყო სხდომაზე, ამიტომ აღნიშნა, რომ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტი, მათ შორის, საკადრო საკითხებზე მიღებული აქტიც, იქნება ეს ბრძანება, თუ სხვა სახის აქტი, დროის გარკვეულ მომენტში იწყებს მოქმედებას, კერძოდ, დაინტერე-

სებული მხარისათვის მისი გაცნობის შემდეგ, თუკი, რა თქმა უნდა, თვითონ ამ აქტში სხვა რამ არ არის მითითებული მისი ამოქმედების ვადის შესახებ, ანუ ადმინისტრაციული აქტის გაცნობა წარმოადგენს მისი კანონიერების კრიტერიუმს და იურიდიულ თვალსაზრისით მისი ნამდვილობის განმსაზღვრელ წინაპირობას, რის გამოც, კანონის თანახმად, სწორედ ოფიციალური გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოსილების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

**2007 წელი**

**9. განჩინება №1042-აპ  
28 ივნისი, 2007 წ.**

*ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებული ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის პირველი ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; გაუქმდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 მაისის დადგენილებით დანიშნული პირობითი მსჯავრი, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა 6 თვე და საბოლოოდ ხ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

**განმარტების საგანი:  
ავტომობილის ან სხვა მექანიკური საშუალებების  
მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება მისაკუთრების  
მიზნის გარეშე  
(სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი)**

მითითებულ საკითხზე იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, რომლის განმარტებით, საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, რომელთაც სწორი, სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული, უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულს მისი მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველს არ იძლევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ 2007 წლის 23 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და იგი დეკრიმინალიზებულია. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ, 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები.

როგორც დასახელებული მუხლებით, ისე – 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ. მათი ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ისეთი ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან. დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების შემდეგ უჩნდება

შესაძლებლობა, ისარგებლოს და განკარგოს სხვისი ქონება როგორც საკუთარი. ამ შემთხვევებში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი – პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება – ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთრის, გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა, დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა. კანონმდებელი, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე, მის ქმედებას აკვალიფიცირებდა ავტომანქანის გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის მუხლით, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც პირს განზრახული ჰქონდა თავის სასარგებლოდ ავტომანქანის არადროებით გამოყენება.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო რა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავეს მიერ ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება როგორც დროებითი გამოყენების, ასევე – სხვა ფორმით მისი გამოყენების მიზნით.

ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციაში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე,



თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას – ავტორანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგავდეს სხვის ქონებას როგორც საკუთარს.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს პირი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებს მისი უკანონოდ გამოყენების შესაძლებლობას, რა დროსაც მას შეუძლია, განკარგოს ნივთის ბედი თავისი შეხედულებით. კანონის დათქმით, თუ დამნაშავე დროებით გამოიყენებდა ავტომანქანას, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, ვიდრე ავტომობილის ხანგრძლივი დასაკუთრებისა და მისი სხვა ფორმით გამოყენების დროს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსიდან აღნიშნული მუხლის ამოღებით კანონმდებელმა უარი თქვა დამნაშავეს სპეციალური მუხლით დასჯაზე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით გამოყენების შემთხვევაში. როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ავტომობილს, მას აქვს მისი, როგორც ფაქტობრივად საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას (მისი დროებით სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე). აქედან გამომდინარე, პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის გამოყენებული ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

**10. განაჩენი №236აპ-12  
22 ნოემბერი, 2012 წელი**

*სასამართლო გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით რ.კ.-სა და სხვებს, რომლებიც მოქმედებდნენ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების გამო, რაც გამოიხატა შემდეგში: რ.კ.-მ და სხვებმა, მოქალაქეებისაგან მათი კუთვნილი თანხების გამოტყუებისა და მისაკუთრების მიზნით, დააფუძნეს არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რ.კ. ეს პირი და მისი სხვა თანამშრომლები აღნიშნულ ორგანიზაციაში მოტყუებით აწევრებდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც არწმუნებდნენ, რომ თითქოს ამ ორგანიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდა სოციალური გრანტი და ყოველთვიურად საწევროს სახით მათ მიერ დაწესებული 3 ლარის გადახდის შემთხვევაში თითოეული გაწევრებული მოქალაქე სანაცვლოდ ყოველ თვეში მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე – ასევე ყოველთვიურად მიიღებდა დახმარებას 120 ლარის ოდენობით 1 წლის განმავლობაში, რაც სინამდვილეს საერთოდ არ შეესაბამებოდა. ამ გზით 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე რ.კ.-მ და მისმა თანამშრომლებმა მოახერხეს მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციაში 11686 მოქალაქის გაწევრება, რომლებსაც საერთო ჯამში გამოსტყუეს და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს 36060 ლარი. აღნიშნული თანხის საერთო მოცულობიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულ რ.კ.-სა და სხვათა მიმართ ბრალად შერაცხული ქმედ-*



ბა, სხვა მაკვალიფიცირებელ ნიშნთან ერთად, დააკვალიფიცირეს აგრეთვე როგორც თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

**განმარტების საგანი:  
თაღლითობის ჩადენა დიდი ოდენობით –  
სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეცვალა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის კვალიფიკაციის თაობაზე მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ: აღმოჩნდა, რომ მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების კვალიფიკაცია ეწინააღმდეგებოდა დიდი ოდენობის ნიშნით თაღლითობის კვალიფიკაციის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმად: იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა თავიდანვე მიღებული ერთიანი განზრახვისა და საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაიდინა თაღლითობა ორი ან მეტი დაზარალებულის მიმართ, როგორც ერთჯერადი მოქმედება, ანდა – რამდენიმე, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით იგივეობრივი ხასიათის მოქმედება ერთიანი განზრახვით და დანაშაულის სახით, თაღლითობის კვალიფიკაცია დიდი ოდენობით ჩადენილად დაიშვებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ასეთ ზომას აღწევდა ცალკე აღებული ერთი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა და არა ერთზე მეტი ან ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ერთობლივი ზიანის საერთო ჯამი (სანიმუშოდ შეიძლება აღინიშნოს

ნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინება №1078აპ მსჯავრდებულ დ.ვ.-ს საქმეზე, იხ: კრებულში – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძო ნაწილი, №12, 2008, გვ.გვ. 46-49; აგრეთვე მისამართზე: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)), ვინაიდან საკასაციო პალატას მიაჩნდა, რომ განხილულ შემთხვევაში თაღლითობის ქმედება უშუალოდ ხელყოფს არა გარკვეული რაოდენობის ადამიანების ერთობლივ, კოლექტიურ ინტერესს, თუნდაც ერთი ქმედებით დაზარალებულთა საერთო რიცხვი ძალზე დიდიც იყოს, არამედ ყოველი ცალკე აღებული დაზარალებულის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ინტერესსა და საკუთრების უფლებას, რომლის დაცვისკენაცაა მიმართული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც თაღლითის ერთიანი განზრახვითა და მიზნით განხორციელებული ქმედებით მრავალრიცხოვან დაზარალებულთა კრებადობა სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათ შორის არ არსებობს რაიმე მყარი, გამაერთიანებელი სოციალური ურთიერთობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ დღეისათვის მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა და პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ვერ ჩაითვლებოდა სრულყოფილად, რადგან მან იმ ვითარებაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის სულ უფრო დახვეწილი და ქმედითი საშუალებები ჩნდება ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამოწვევის შესაძლებლობათა გაფართოების თვალსაზრისით, შესაძლებელია, პოტენციურ დანაშაულს უბიძგოს დანაშაულის ჩასადენად გამოიყენოს ისეთი ხერხები, რომელთა მეშვეობითაც, ერთი მხრივ, მრავალი ადამიანის ინტერესების ხელყოფის გზით, მიიღოს დიდი შემოსავალი, ხოლო მეორე მხრივ კი – თავი დააღწიოს მკაცრ პასუხისმგებლო-

ბას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი. ამ ვითარებამ შესაძლოა, წარმოშვას აშკარა უსამართლობა და გაუმართლებელი დისპროპორცია ფაქტობრივად ერთი და იმავე სიმძიმის ქმედებათა დასჯადობაში. მაგალითად, თუკი ერთმა დამნაშავემ თაღლითობით მოახერხა ისეთ დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი კრებულის მოტყუება, რომელიც ერთი იურიდიული პირის სახით იყო წარმოდგენილი და ხსენებული ქმედება სწორედ ამ იურიდიული პირის მიმართ იყო ჩადენილი, რომლის ზარალმა დიდ ოდენობას მიადწია, იგი დაისჯება მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო სხვა დამნაშავე, რომელმაც ერთი ქმედებით შესაძლოა, ბევრად უფრო მეტი რაოდენობის, ხელმოკლე და სოციალურად შეჭირვებული ადამიანი მოატყუა და ზარალმა დიდი ოდენობა მხოლოდ ცალკეული დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული მცირე ან მნიშვნელოვანი ზიანის საერთო მოცულობით შეადგინა, დაისჯება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქად დაისაჯოს იმ პირთან შედარებითაც კი, რომელმაც ეკონომიკურად და ფინანსურად ფრიად შეძლებულ და მდიდარ ადამიანს თაღლითურად გამოსტყუა თუნდაც 151 ლარი, ანდა იმავე ღირებულების ნივთი და ამ ოდენობის თანხით აზარალა, ეს მაშინ, როდესაც სრულიად აშკარაა ჩადენილი ქმედებების სიმძიმესა და თვით დამნაშავე პიროვნებათა საშიშროებას შორის არსებული სერიოზული განსხვავება.

გარდა ამისა, დიდმა პალატამ აღნიშნა შემდეგი: როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცნებების განმარტებისას შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ძირითად შემაჯგუფებებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა თუ მისაკუთრების მიზანზე, ძალიან მაღალი ალბათობითაა სავარაუდო, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანი-

ჭებს იმ გარემოებას – ეს სხვისი ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის, თუ ორს ან მეტს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე (ფულზე, ქონებაზე), რომელსაც ეუფლება და ისაკუთრებს დამნაშავე, ამ უკანასკნელს არავითარი უფლება არ გააჩნია. ამიტომ განხილულ შემთხვევაში ერთიანი განზრახვითა და მიზნით ჩადენილი ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის (ფულის, ქონების) საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული, კონკრეტული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას. აქვე დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი კვალიფიკაცია დიდი ოდენობის ნიშნით შეეხება არა მხოლოდ თაღლითობას, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც, როგორცაა ქურდობა, ძარცვა და სხვა, ხოლო დიდი ოდენობის ნიშნით კვალიფიკაცია, სრულიად ცხადია, რომ არ დაიშვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მრავალი იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, ჩადენილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვისა და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ იქნება მიჩნეული ერთიან განგრობად დანაშაულად და რეალურად გვევლინება როგორც დანაშაულთა რეალური ერთობლიობა, რადგან სამართლებრივად შეუძლებელია იგივეობრივ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის არსებობა, გამომდინარე საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან.

ამრიგად, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ უფრო მართებულად მიიჩნია ზემოთ განხილულ, პრობლემურ სისხლისსამართლებრივ საკითხზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რის გამოც ამ უკანასკნელის შესაბამისად შეცვალა იმავე საკითხზე წინათ არსებული სასამართლო პრაქტიკა და მის ნაცვლად დაამკვიდრა

ახალი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ქმნის მსგავსი საკითხების უფრო დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

## 2014 წელი

### 11. განაჩენი №227აპ-13 25 თებერვალი, 2014 წ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით შ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დაინიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 4000 ლარი და აღნიშნულმა სასჯელებმა შთანთქა კიდევ ერთი ადრე გამოტანილი განაჩენით დაინიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წელი. მსჯავრდებულ შ. ქ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და იმ პირობებში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს – განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე, ბოლო განაჩენით დაინიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიუმატა წინა განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დაინიშნული სასჯელიდან 1 წელი და მსჯავრდებულ შ. ქ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

### განმარტების საგანი: საუარესოდ შებრუნების საკითხი განაჩენთა ერთობლიობისას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პროკურორის საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის მდგომარეობა გააუარესა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის კუთხით – შთანთქმის ნაცვლად გამოიყენა ნაწილობრივი შეკრების პრინციპი, მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს – განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა ყველა ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველს მოკლებული და უპერსპექტივოა.

დიდმა პალატამ მსჯავრდებულ შ. ქ-ს 1 წლისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად განუსაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და გაათავისუფლა.

მისამართი: 0110, თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ. 298 21 03  
E-mail: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)